გაზეთი ბიეჭრავს. „ვერსია“ იბეჭდება

ვერსია

№1 (1642) 18 — 24 იანვარი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

507 მილიონი ლარის შემოსავალი, გაზრდილი ტვირთბრუნვა და სატრანსპორტო ჰაბი ევროპა-აზიას შორის – წელს რკინიგზის მოდერნიზება იგეგმება

„საქართველოს რკინიგზის“ 100%-იან წილს მთავრობა ფლობს

„საკუთარ თავთან მართალი ვარ“

ბუბა კიკაბიძე – ლეგენდა, რომელიც საუკუნეებს გაუძლებს

„სხვებს ნუ შეეჯიბრებით, გააკეთეთ არჩევანი ბარებში 500 ლარად სიმღერასა და ექსკლუზიურ შემოქმედებას შორის!“

ექსკლუზიური ინტერვიუ დათო ფორჩხიძესთან

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

რამდენი ქართველი „კანონიერი ქურდი“ მოკვდა ბოლო დროს

რას ვერ იყოფენ კრიმინალები ოკუპირებულ აფხაზეთში

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მესტიაში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით, ორი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მესტიაში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით, ორი პირი დააკავეს.

განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულნი არიან: 1952 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რ.ა. და 1997 წელს დაბადებული გ.ც.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 1 იანვარს, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეცერში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, რამდენიმე პირს შორის დაპირისპირება მოხდა, რა დროსაც ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალნენ 1989 წელს დაბადებული გ.ა. და 1993 წელს დაბადებული გ.პ., ხოლო 1998 წელს დაბადებულმა რ.პ.-მ ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში ბრალდებული ორივე პირი ცხელ კვალზე დააკავეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

ვახტანგ გომელაურმა პოლიციის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა პოლიციის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან მიმდინარე წლის შემაჯამებელი სამუშაო თათბირი ჩაატარა. პოლიციის დეპარტამენტების დირექტორებთან შეხვედრას მინისტრის პირველი მოადგილე შალვა ბედოიძე ესწრებოდა.

სამხარეო პოლიციის დეპარტამენტების დირექტორებმა მინისტრს რეგიონებში განხორციელებული საპოლიციო ღონისძიებების, დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით არსებული ვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

ვახტანგ გომელაურმა თითოეული პოლიციის დეპარტამენტის მიერ მთელი წლის განმავლობაში გახსნილი დანაშაულების გახსნის მაჩვენებელზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს, გარკვეული ტიპის დანაშაულის რაოდენობის კლება დაფიქსირდა, გახსნის მაჩვენებელმა კი მოიმატა.

„ბევრად უკეთესია წლევანდელი წელი. ეს თქვენი დამსახურებაა, თქვენი მუშაობის, ბიჭების მუშაობის. გახსნის მაჩვენებელი ძალიან მკვეთრადაა გაზრდილი, რაც, პირველ რიგში, არის ძალიან კარგი. სხვადასხვა თვეებში იყო სხვადასხვა მუხლის დანაშაულების მატება-კლება, სტატისტიკა ცოცხალი ორგანიზმია – ხან იმატებს, ხან იკლებს, თუმცა მთლიანობაში დაკლებულია, რაც კარგია“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

შეხვედრაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ყურადღება გაამახვილა გატარებულ და მიმდინარე რეფორმებზე, მიმდინარე წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ტექნიკური აღჭურვილობის განახლებაზე, ასევე, დანაშაულთან ბრძოლის შედეგებსა და საზოგადოების უსაფრთხოების მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე.

ვახტანგ გომელაურმა დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან ერთად განიხილა არსებული საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა და სამომავლო თანამშრომლობის გაფართოების პერსპექტივებზე ისაუბრა.

მინისტრმა საპოლიციო დანაყოფების ხელმძღვანელებთან აგრეთვე განიხილა მომავალ წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები და მთავრობის მეთაურის ინიციატივით სამინისტროს თანამშრომლებისთვის შრომის ანაზღაურების 20%-ით გაზრდის შესახებ ისაუბრა. მან ასევე ყურადღება გაამახვილა საპოლიციო საქმიანობის გაუმჯობესებისთვის საჭირო სამუშაოებსა და პრევენციულ ღონისძიებებზე.

ვახტანგ გომელაურმა მთელი წლის განმავლობაში შესრულებული ნაყოფიერი საქმიანობისთვის თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით კომპლექსური ღონისძიებები 2023 წელსაც აქტიურად გაგრძელდება.

ამოღებულია არადეკლარირებული ოქრო

სამართალდამცველებმა, აზერბაიჯანის მოქალაქეების მიერ, თურქეთიდან აზერბაიჯანის მიმართულებით, „სარფის“ გავლით, საბაჟო კონტროლისაგან მალულად, 6 კილოგრამამდე ოქროს საიუველირო ნაკეთობების საქართველოში შემოტანის ფაქტი გამოავლინეს.

ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს:

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მიმდინარე წლის იანვრის დასაწყისში, საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობების შემოტანის სამი ფაქტი გამოავლინეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ აზერბაიჯანის მოქალაქეებმა, რომლებიც სატვირთო ავტომანქანებით, თურქეთიდან აზერბაიჯანის მიმართულებით ახორციელებდნენ სხვადასხვა სახის საქონლის ტრანზიტულად ტრანსპორტირებას, საბაჟო-გამშვები პუნქტი „სარფის“ გავლით, საბაჟო კონტროლისაგან მალულად, საქართველოში შემოიტანეს საერთო ჯამში 6 კილოგრამამდე ოქროს საიუველირო ნაკეთობები, რომელთა საბაჟო ღირებულება აღემატება 500 000 ლარს.

საქმეებზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 7 წლამდე ვადით“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

5 ივლისის ძალადობა – პროკურატურა სააპელაციო სასამართლოს განაჩენს ეხმაურება

როგორც უწყების ინფორმაციაშია აღნიშნული, საქართველოს პროკურატურა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას კანონით დადგენილ ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებს.

„საქართველოს პროკურატურა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განაჩენს, რომლითაც 5 ივლისს, TV პირველის ოპერატორისა და ჟურნალისტის, ასევე, პირველი არხის ოპერატორის მიმართ ჟურნალისტური საქმიანობის გამო განხორციელებული დევნისა და ძალადობის, ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობისა და ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტებზე, მსჯავრდებულები ნაწილობრივ გამართლდნენ და აღნიშნულ გადაწყვეტილებას უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიებით და პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2021 წლის 5 ივლისს, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირსა და მიმდებარე ტერიტორიაზე გასამართი „ღირსების მარშის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის დროს, ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილე დ.კ.-მ, თ.დ.-მ, ა.ნ.-მ, ო.გ.-მ, ც.ჩ.-მ, და გ.გ.-მ, ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობებით, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ასევე, ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჟურნალისტებსა და მოქალაქეებზე ჯგუფური ძალადობა განახორციელეს, რა დროსაც დაზარალებულებს სხვადასხვა სახის ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს, დააზიანეს და გაანადგურეს მათი ტექნიკა და პირადი ნივთები. ასევე, დაარბიეს „თბილისი პრაიდის“ წევრებისა და მათი მხარდამჭერების სხვადასხვა სავარაუდო ადგილსამყოფელი.

ექვსივე პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ორგანიზებულ ჯგუფურ მოქმედებებში მონაწილეობა); 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი ძალადობის მუქარით), და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით (სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ადამიანის დევნა პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამიწვია) და 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან, ჩადენილი მსხვერპლის სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; ჯგუფურად) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ექვსივე ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად თითოეულს 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

სააპელაციო სასამართლომ 225-ე მუხლის ნაწილში (ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა) მსჯავრდებულები გაამართლა და დამნაშავედ სცნო ბრალად წარდგენილ სხვა ქმედებებში, ამასთან, დანიშნული სასჯელი შეუმცირა და თითოეულ მათგანს 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

საქართველოს პროკურატურა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას კანონით დადგენილ ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებს“, – ნათქვამია უწყების ინფორმაციაში.

„საკუთარ თავთან მართალი ვარ“

ვანო პავლიაშვილი

ამბობენ, რომ დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან. შესაძლოა, მართლაც ასეა, თუმცა ეს სხვა შემთხვევაა. დიახ, ის მხოლოდ დიდებული კი არა, ლეგენდარული ადამიანი იყო, ადამიანი, რომელმაც გარდა იმისა, რომ საბჭოთა ადამიანების გულები დაიპყრო, „რკინის ფარდის“ იქით მყოფი საზოგადოების მოხიბვლაც შეძლო. დიახ, ის კომუნისტებისთვის, დემოკრატებისთვის, „ამისტების“, „იმისტებისთვის“ და საერთოდ, ყველასთვის საყვარელი მომღერალი იყო, მომღერალი, რომელსაც გვარით თითქმის არასოდეს მოიხსენებდნენ და, უბრალოდ, ბუბას ეძახდნენ... და წავიდა ბუბა – ღვაწლმოსილი, ამაგდარი, დაფასებული, სამშობლოზე შეყვარებული და სამშობლოს ღირსებისთვის მებრძოლი...

ბუბა კიკაბიძე – ლეგენდა, რომელიც საუკუნეებს გაუძლებს

ერთგვარი დოგმაა – მიცვალებულზე კარგს, ან არაფერს ამბობენ, მაგრამ ეს დოგმა ბუბა კიკაბიძეზე არ ვრცელდება, რადგან მას, ხატოვნად რომ ვთქვათ, ძეგლი სიცოცხლეშივე დაუდგეს, თუმცა მომღერლის ბიოგრაფიაში ისეთი ეპიზოდიც იყო, როცა გავლა ბეწვის ხიდზე მოუწია ანუ ადამიანების მცირე ნაწილს რაღაცნაირად სჯერა, რომ 1991-92 წლების სისხლიანი მოვლენების დროს, ლეგენდა „ხუნტისტების“ მხარეს იდგა. უფრო მეტიც, სოციალურ ქსელში ფოტოსაც აფრიალებენ, სადაც ბუბა თენგიზ კიტოვანის გვერდით დგას, თუმცა ისინი, რომლებიც იმდროინდელ მოვლენებს კარგად იცნობენ, ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, რომ ეს ე.წ. მამხილებელი ფოტო აფხაზეთის ომის დროსაა გადაღებული ანუ მომღერალი აფხაზეთში, ქართველი მეომრების გასამხნევებლად ჩასულა და ეს შეჩერებული წამიც იმდროინდელი ყოფილა.

სხვათა შორის, ამ თემაზე ძალიან კარგად დაწერა სოციალური ქსელის მომხმარებელმა, ნიკუშა ფარულავამ:

„ბუბა კიკაბიძე პუტჩისტი იყო და მოდი, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათო, – ააჭრელეს სოციალური ქსელები.

ბუბა დიდი სწორედ იმიტომ იყო, რომ საბჭოთა ეპოქაში სახელმოხვეჭილმა კაცმა ყველაფერი გადალახა, არ გამხდარა პროპაგანდის მსხვერპლი, წამით არ დაფიქრებულა, ისე შეაფურთხა პუტინის მიერ გადაცემულ „ხალხთა მეგობრობის ორდენს“, რუსულ ელიტას (ალბათ, მის ბევრ მეგობარსაც), კრემლიდან შეთავაზებულ მილიონებს და არასდროს ოკუპანტისკენ აღარ გაუხედავს, iPhone-ების თაობის ბევრი „ხელოვანისგან“ განსხვავებით.

არ არსებობს შეუცდომელი და თუ გინდათ, უდანაშაულო ადამიანიც კი, მით უმეტეს, საქართველოში.

წარსულის შეცდომებში გაჯიუტება ყველაზე დიდი დანაშაულია.

აი, საკუთარი თავის 180 გრადუსით შეცვლა, სწორ პოზიციებზე არა სიტყვით, არამედ, საქმით გადასვლა კი, ალბათ, უდიდესი შრომისა და ნიჭის შედეგი.

გარშემო მიმოიხედეთ და გარდაცვლილი ბუბასთვის პუტჩისტის ძახილის მაგივრად, ენერგია დღეს საქართველოში კრემლის ინტერესების გამავრცელებლების დამარცხებისკენ მიმართეთ, რომლებიც თავისუფლად საქმიანობენ ყველგან-მთავრობაში, მედიებში, უნივერსიტეტებში და ა.შ.

P.S. iPhone-ების თაობის ის წარმომადგენლები მაინც ნუ წერთ ბუბაზე, რომლებიც ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან საკითხში – 2008 წლის ომთან დაკავშირებით, „ტალიავინის დასკვნას“ იშველიებდით ერთი კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისადმი საკუთარი ზიზღის გამო“.

რაც შეეხება ოკუპანტი პუტინისთვის ჩინ-მედლების უკან დაბრუნებას, ამაზე თავად ბუბა ამბობდა:

„არ შემიძლია, ვუმღერო ადამიანს, რომელიც მირტყამს, მე კი ვერ ვპასუხობ...

და მე წავედი, მორჩა.

ბევრმა ნაცნობმა მითხრა, „მერე შენ რა, ყველა მიდის, ყველა მღერის“.

მე კიდევ ვეუბნები, რომ არ შემიძლია, შეიძლება, ვცდები, მაგრამ ვთვლი, რომ საკუთარ თავთან მართალი ვარ.

ჩემთვის უხერხული იქნება, თვალებში შევხედო ბავშვებს და შვილიშვილებს.

... არ მომწონს მე ყველაფერი ეს და იმიტომ ვამბობ უარს. თუ გაიყვანენ ტანკებს და დააბრუნებენ ტერიტორიებს, მერე რატომ არ ჩავალ. მერე ყველგან ჩავალ... მე სათამაშოდ კი არ ვამბობ სიტყვებს“.

ჰო, ბუბა არ თამაშობდა. არ თამაშობდა მაშინაც, როცა რუსეთის თავდასხმის მერე, უკრაინაში ჩავიდა და ზელენსკის შეხვდა.

სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი, ვინც ლეგენდარული მომღერლის გარდაცვალებას გამოეხმაურა, სწორედ, ვოლოდიმირ ზელენსკი იყო და ბუბას „დიდი ხალხის დიდი ადამიანი“ უწოდა:

„ვახტანგ კიკაბიძე. მეგობარი, რომელიც ყოველთვის ჩვენს გვერდით იყო. დიადი ხალხის დიადი ადამიანი. ლეგენდა, რომელსაც ყველა დიდ პატივს ვცემდით. ნათელი ხსოვნა ხელოვანს და სამძიმარი მის ახლობლებს“.

დიახ, ბუბა კიკაბიძე ის ადამიანი იყო, რომლის წასვლამაც გული ყველას დასწყვიტა, აბსოლუტურად ყველას და ამ შემთხვევაში, გულშემატკივართა პოლიტიკურ აღმსარებლობას მნიშვნელობა ნამდვილად არ ჰქონია ანუ ბოლო წლებში, მომღერალი ენმ-ს არათუ გამორჩეული მხარდამჭერი, არამედ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ამ პარტიის საარჩევნო სიის პირველი ნომერიც იყო. დეპუტატიც გახდა, თუმცა საპარლამენტი სხდომებს სულ ერთხელ დაესწრო.

ცალკე საუბრის თემაა ბუბა კიკაბიძის სიყვარულის ისტორია, რომელმაც თავის დროზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, თუმცა ამ თემაზე ხმამაღლა არასოდეს, არავინ საუბრობდა. ამ ამბის ინტრიგა კი ის გახლდათ, რომ ირინა ქებაძე მსახიობ გურამ საღარაძის მეუღლე იყო. ბუბა და ირინა 1965 წელს შეუღლდნენ. წლების მერე, ამ ამბავზე რუსული სააგენტო „ფინტიფ.რუ“ წერდა:

„ახალბედა ოჯახი, ირინას მშობლებთან ერთად, ნახევრად სარდაფის ტიპის ოროთახიან, პატარა ბინაში ცხოვრობდა. სამამრს და სიდედრს ვახტანგი უყვარდათ და მაშინაც კი, როცა საქვეყნოდ ცნობილი სიძე შინ გვიან, ნაქეიფარი ბრუნდებოდა, სცენებს არ უწყობდნენ.

არტისტი გამოტყდა, რომ ახალგაზრდობაში არცერთხელ არ გაუბრაზებია ცოლი უყურადღებობითა და მეგობრებთან ერთად დროსტარებით, ასევე, არამოტივირებული ეჭვიანობით, რისგანაც მერე, დროდადრო გათავისუფლდა და მიხვდა, თუ როგორ უყვარდა ცოლს.

როდესაც ირინას სამშობიარო სახლში უთხრეს, ვაჟი გაგიჩნდაო, უთქვამს, ბუბას ძალიან გაუხარდებაო. მამა ვაჟის დაბადებამ ძალიან გაახარა. რესტორანში აღნიშნა მემკვიდრის დაბადება. ვაჟს კი ვახტანგის მამის სახელი, კონსტანტინე დაარქვეს, რომელიც მეორე სამამულო ომიდან აღარ დაბრუნებულა.

მრავალწლიანი ოჯახის საიდუმლოებად არტისტი ორმხრივ პატივისცემას ასახელებს. როცა ოჯახში პატივისცემაა, ოჯახიც მყარად არსებობს. წყვილი მუდმივად ფიქრობს ერთმანეთსა და იმ ადამიანებზე, ვინც მათ გვერდით ცხოვრობს.

ერთად უკვე 53 წელია არიან. მათი სიყვარული წლებმა ვერ გაახუნა. არტისტი წუხს, რომ ყოველდღე ყვავილის მირთმევის საშუალება არ აქვს ცოლისთვის. სამაგიეროდ, სახლში თუ ცოტა ხანს ვერ გაიგონებს ირინას ფეხის ხმას, მაშინვე მიდის, გაიგოს, ხომ ყველაფერი რიგ ზე აქვს საყვარელ მეორე ნახევარს. ასევე იქცევა ირინაც...

როდესაც 1979 წელს, ვახტანგ კიკაბიძეს მოსკოვის ჰოსპიტალში მძიმე ოპერაცია ჩაუტარდა, ირინა არა მხოლოდ მას უვლიდა, არამედ, სხვა პაციენტებსაც, რომლებთანაც ახლობლები მისვლას ვერ ახერხებდნენ. ბევრი მოსკოველი არ იყო, ირინა კი მათ თხოვნას ასრულებდა და ბაზრიდან მოჰქონდა ხაჭო, ხილი, თევზი... ეს ფაქტი ვახტანგს არც აოცებდა, ცოლზე ამბობდა, მას სხვაგვარად არც შეუძლიაო.

ვახტანგ კიკაბიძეს ვერც კი წარმოუდგენია, როგორ უნდა გაანაწყენოს არათუ ცოლი, ზოგადად, ადამიანი. მით უმეტეს, ღალატითა და გაცემით. ის ქალში არა მხოლოდ სილამაზეს, ჭკუას აფასებს. ჩანს, რომ მათი ოჯახის მრავალწლიანი ისტორიის საიდუმლოებაც ეს არის.

ბუბამ ცოლს მიუძღვნა სიმღერა, სადაც ასეთი სიტყვებია: „ჩემო ძვირფასო. ჩემი შვილების დედავ, ჩემი შვილიშვილების ბებიავ. განგებას შევთხოვ, პირველი მე გარდავიცვალო, რომ შენი ცრემლები არ დავინახო“. ირინას ამ სიმღერის შესრულება აუკრძალავს მისთვის, რადგან მასში ბებიად მოიხსენიებს“.

* * *

გაზეთი „ვერსია“ მწუხარებას გამოთქვამს და ლეგენდარული ბუბა კიკაბიძის გარდაცვალებას მთელ სამყაროს უსამძიმრებს.

„გარკვეულ პირებს სოლიდური თანხა გადაუხადეს, პარლამენტში რომ შეეყვანათ!“

2023 წლის პირველი სკანდალური ინტერვიუ გიორგი გუგავასთან

თათია გოჩაძე
598-43-50-34

როგორი პოლიტიკური წელი დაიწყო ოპოზიციისთვის და რა გეგმები აქვთ პარტიებს – „ვერსია“ ახალი წლის პირველ პოლიტიკურ ინტერვიუს საქართველოს ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელ გიორგი გუგავასთან გთავაზობთ:

– ჩვენი სტრატეგიული გეგმა ახალი არჩევნები, რეჟიმის სანქცირებაა და პარტნიორებთან ამ მიმართულებით ვმუშაობთ. საბოლოო ჯამში, გვინდა, რეჟიმი ისე დასუსტდეს, რომ მივიღოთ ახალი არჩევნები.

– ბატონო გიორგი, როგორც ჩანს, ახალ არჩევნებში ვადამდელს გულისხმობთ და ეს მოთხოვნა ამ პოლიტიკურ მოცემულობაში რამდენად მიღწევადია?

– არსებულ ვითარებაში აბსოლუტურად რეალურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ რეჟიმის მამამთავრის სანქცირება დაწყებულია და ეს გაგრძელდება. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარება უკრაინასთან დაკავშირებით იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენი ქვეყანა რეჟიმმა, სამწუხაროდ, რუსეთ-ბელარუსის ალიანსში ჩართო და ოკუპანტის სასარგებლოდ თამაშობს. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სრულიად მოსალოდნელია, მივიღოთ ახალი არჩევნები, რაც შეიძლება მალე, რათა ნაკლები ზიანით გამოვიდეს ქვეყანა ამ ვითარებიდან.

– იმისთვის, რომ თქვენი მოთხოვნა შესრულდეს, საჭიროა, ოპოზიცია მძლავრი და ერთიანი იყოს. არადა, ოპოზიციის უმოქმედობას ექსპერტები და სამოქალაქო საზოგადოება მძაფრად აკრიტიკებს. ამ კუთხით, პასუხისმგებლობას გრძნობთ?

– ეს კრიტიკა ყველაზე ნაკლებად ჩვენს პარტიას ეხება. ჩვენმა პარტიამ ყველაფერი გაიღო, რომ დარჩენილიყო ხალხისა და საკუთარი პრინციპების ერთგული. ამის გამო დავისაჯეთ, რეპრესირებულები ვართ, შეგვიწყვიტეს დაფინანსება, პარტიის ლიდერი გარიცხეს პარლამენტიდან და ა.შ. ეს მოხდა იმის გამო, რომ პარტიამ არ უღალატა პრინციპებს და ხალხს, განსხვავებით ოპოზიციისგან, რომელიც, სამწუხაროდ, დღესაც თანამშრომლობს ხელისუფლებასთან კულუარულად. როცა ხელისუფლებას ეუბნები, რომ არის კოლაბორაციონისტი და მეორე ხელით მასთან ხარ – პარლამენტსა და საკრებულოებში თანამშრომლობ, ამის გამოა საზოგადოებაში ნიჰილიზმი და სკეპტიციზმი.

ეს არათანამიმდევრულობა, საკუთარი სიტყვისა და პირობის არშესრულება იწვევს უნდობლობას ოპოზიციის მიმართ.

– ღალატში, ალბათ, გულისხმობთ ოპოზიციის მიერ ბოიკოტის შემდეგ პარლამენტში შესვლას. კიდევ რა მიგაჩნიათ ღალატად? გაქვთ ისეთი ინფორმაცია, რაც საზოგადოებამ უნდა იცოდეს?

– ზოგადად, ამას საკუთარი პრინციპების, ქართველი ხალხის ღალატი ჰქვია. თუ ამბობ, რომ არჩევნები გაყალბდა, ბოიკოტი გამოაცხადე და შემდეგ ყოველგვარი გარანტიის გარეშე, შევარდი პარლამენტში, ხელი მოაწერე შარლ მიშელის დოკუმენტს, რომელიც თავზე გადაგახიეს, რის შემდეგაც ყველა პირობა დაარღვია ხელისუფლებამ და ამას დაემატა უკრაინის ომთან დაკავშირებული მოვლენები, როცა ცალსახად ოკუპანტის მხარე დაიჭირა ხელისუფლებამ... ამას დამატებული თვითმმართველობის არჩევნების გაყალბება და ყველაფერ ამის მიუხედავად, მაინც აგრძელებ ამ უტიფრებთან თანამშრომლობას, ეს ღალატის ტოლფასია და არ ვიცით, რა შედეგს მოუტანს ქვეყანას!

ბოიკოტი რომ გაეგრძელებინათ, ხელისუფლება იძულებული გახდებოდა, ხელახლა ჩაეტარებინა არჩევნები და საარჩევნო გზით მოხდებოდა ხელისუფლების ცვლილება. ეს შანსი გაუშვა მაშინ ოპოზიციამ და ჩემი ინფორმაციით, არცთუ უანგაროდ. ამაში საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადა რეჟიმმა.

– დააკონკრეტეთ, ვინ აიღო თანხა იმის სანაცვლოდ, რომ პარლამენტში შესულიყო?

– ყველას არ ვგულისხმობ, მაგრამ არის ხმა, რომ გარკვეულ პორებს საკმაოდ სოლიდური თანხა გადაუხადეს, რათა შეეყვანათ პარლამენტში. არ დავასახელებ ამ პიროვნებებს, რადგან შესაბამისი მტკიცებულებებია საჭირო, მაგრამ ლოგიკურად ემთხვევა მათ ქმედებებს.

– ბატონო გიორგი, როცა ოპოზიციის პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ, ეს ყველაზე მეტად, ალბათ, ნაციონალურ მოძრაობას ეხება, რადგან ყველაზე მრავალამომრჩევლიანია ოპოზიციური პარტიაა. ენმ-ს ასეთი გახლეჩვა და შიდადაპირისპირება, ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული პროცესისთვის სასარგებლოა თუ საზიანო?

– ლოგიკურია, რაც ხდება. სამწუხაროდ, ეს პარტიაც შედის იმ რიგებში, რომელმაც სიტყვა გატეხა და უღალატა დადებულ პირობას და მოსალოდნელი იყო ეს პროცესი. რამდენჯერმე მოუწოდა მიხეილ სააკაშვილმა, დაეტოვებინათ საპარლამენტო მანდატები და აქტიურ ბრძოლაზე გადასულიყვნენ, რაც არ შეასრულეს და ამიტომ ლოგიკურად მიდის შიგნით გახლეჩვის პროცესი, თითქოს ნაალაფარის გადანაწილება. ჯერ კიდევ ლიდერი ცოცხალი ჰყავთ და მათი დიდი დამსახურებაცაა, რომ ლიდერი დღემდე ციხეშია, რადგან ეს არაპრინციპულობის გამო მოხდა. აქედან გამომდინარე, მიმდინარეობს დაშლის პროცესი.

– ესე იგი, ფიქრობთ, რომ ენმ ისევ დაიშლება?

– ეს პროცესი ჩანს, მით უმეტეს, მიხეილ სააკაშვილმა თუ უარი თქვა ქართულ პოლიტიკაზე, ეს გარდაუვალი პროცესი იქნება. პარტია დაიშლება და დაკარგავს საზოგადოებრივ მხარდაჭერას. ყოველ შემთხვევაში, ისეთი ძალა აღარასდროს ექნება, როგორი მხარდაჭერაც ჰქონდა საზოგადოების მხრიდან.

– ჰოდა, ამ პარტიის დასუსტება ხელს შეუწყობს ოპოზიციური პარტიების კოალიციურ გაერთიანება-გაძლიერებას, თუ მეტად გააძლიერებს ხელისუფლებას?

– პროცესისთვის მნიშვნელოვანია, შეიქმნას ისეთი გარემოება, როცა ხელოვნურად ვიწრო ოლიგარქიულ ჯგუფს არ აქვს მითვისებული სახელმწიფო; ჩატარდეს ნორმალური არჩევნები; გვქონდეს თავისუფალი სასამართლო და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა... ასეთ დროს ძლიერდება პარტიები და ყალიბდება იდეოლოგიის მიხედვით. დღეს, სამწუხაროდ, საქართველოში არა იდეოლოგიის მიხედვით ყალიბდება პარტიები, არამედ, იმის მიხედვით, თუ ვის რა ფინანსური დასაყრდენი აქვს. ამიტომაცაა, რომ იდეოლოგიურად, „ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა, დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

ნაციონალური მოძრაობის დასუსტება გამოიწვევს გარკვეულ ცვლილებებს და ამაში დიდ ტრაგედიას ვერ ვხედავ. საბოლოო ჯამში, უფრო პლურალისტური უნდა გახდეს პოლტიკური სისტემა, არ უნდა იყოს ასეთი ბიპოლარული, ჩვენ საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ და წარმოდგენილი უნდა იყოს პარლამენტში მრავალი პარტია, საჭიროების შემთხვევაში, შეიქმნას კოალიციური მთავრობა, რაც გამოიწვევს ურთიერთბალანსს და ვიწრო ჯგუფებს აღარ ექნებათ ხელში ჩაგდებული ძალაუფლება. მრავალპარტიულობა განაპირობებს ქვეყნის განვითარებას.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„ვიქნებით სულ ამ დღეში!“

ელოდება თუ არა 2023 წელს პოლიტიკურ ცვლილებებს ლევან ალაფიშვილი

2023 წელი მწვავე პოლიტიკური მოვლენებით დაიწყო. ქვეყნის მთავარ ოპოზიციურ პარტიაში მალე შიდაპარტიული არჩევნები გაიმართება და ვისაც პოლიტიკური ალღო აქვს, ყველა ხვდება, რომ ეს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში კვალს დატოვებს. მაინც, როგორი პოლიტიკური წელი გველოდება? – „ვერსიას“ პროგნოზებს ანალიტიკოსი ლევან ალაფიშვილი უზიარებს:

– რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის შიდაპარტიულ არჩევნებს, არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველოში პარტიული სისტემა გაუმჭვირვალეა, არადემოკრატიული და არც პოლიტიკური კორუფციის რისკებისგანაა დაზღვეული. შესაბამისად, ამ სისტემას მიჩვეულები, ყოველგვარ გადახრას ე.წ. პარტიული სტაგნაციისგან, მიიჩნევენ დაპირისპირებად, რაც ასე არ არის. ვერ გეტყვით, ცალკეულ პარტიას რამდენად შეუძლია ამ სისტემის შეცვლა, თუმცა ამდაგვარ პროცესებს შეუძლია მოსახლეობაში იმის პროვოცირება, რომ ახლიდან გავიაზროთ ყველამ, რა არის პარტია. ეს არის დემოკრატიაში ერთადერთი ინსტრუმენტი, რომლითაც პოლიტიკური იდეების ირგვლივ გაერთიანებულ ჯგუფს შეუძლია პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა – ან ხელისუფლებაში მოსვლა, ან გადაწყვეტილებებზე ოპონირებით გავლენის მოხდენა. ასე რომ, თუკი ამისთვის სისტემა არ შეიცვალა, პარტიებში მიმდინარე ამგვარ მოვლენებს დაერქმევა განხეთქილება, დაპირისპირება და ა.შ. შესაძლოა, ეს მართლაც ასე იყოს, მაგრამ რადგან ენმ-ის მიმდინარე პროცესზე ვსაუბრობთ, იქ ხომ არჩევნებია და რეალურად, პოლიტიკურმა ძალამ სცადა (შესაძლოა, შიდა უთანხმოებების ფონზე) აქამდე უცნობი, ალტერნატიული მექანიზმის შექმნა, რომლითაც ყველა დაინტერესებულ პირს ექნება საშუალება, იყოს ჩართული პროცესში, როგორც ე.წ. ამომრჩეველი, ან როგორც კანდიდატი. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში მონაწილეობის უფლება მიეცა პირებს, რომლებიც პარტიის წევრები არ არიან. ეს არსებულ სისტემაზე უკეთესი, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ არც ერთ პარტიაში არ არის საკმარისი დემოკრატიული გამჭვირვალე სისტემა თანამდებობებსა და ფინანსებთან დაკავშირებით.

აქვე, შეგახსენებთ, არცთუ შორეულ წარსულში ვადევნებდით თვალს, როცა მმართველი პოლიტიკური ძალის წევრებმაც კი არ იცოდნენ, ვინ იქნებოდნენ მათი კანდიდატები არჩევნებში. ამ გადაწყვეტილებას პარტიის წევრებს საერთოდ არ უთანხმებდნენ – აი, ესაა მანკიერი სისტემა, რომლის საფუძველიც კანონმდებლობისა და მენტალური ცვლილებაა საზოგადოებაში. როგორც ჩანს, სამწუხაროდ, პარტიებისთვის კომფორტულია ეს სისტემა და არ აქტიურობენ მის შესაცვლელად.

– ბატონო ლევან, ერთმნიშვნელოვნად გეთანხმებით, რომ პარტიული არჩევნები დემოკრატიული და სასარგებლო პროცესია, მაგრამ ყველაფერ ამას წინ უძღვოდა „კომპრომატების ომი“, ფარულიჩანაწერების გავრცელება, საარჩევნო კანდიდატების მიერ სხვადასხვა ლოკაციაზე დანიშნული საპროტესტო აქციები, უერთიერთბრალდებები... ყველაფერი ეს არ ქმნის განცდას, რომ პროცესი ბოლომდე ჯანსაღი არაა?

– ამას ვერ გეტყვით. მით უმეტეს, არ ვიცით, ეს იყო თუ არა კომპრომატები, გარედან ჩაერივნენ, თუ არა. რა გითხრათ, მეც ვაკვირდები გარედან ამ პროცესს ისევე, როგორც აუდიტორია და როცა არც გამოძიებაა დაწყებული... თუ სწორად მახსოვს, განცხადებაც კი არ გაუვრცელებია საგამოძიებო ორგანოს. ჩემთვის ეს არ არის კარგის მანიშნებელი, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ამას პარტიის შიგნით რომელიმე მხარე აკეთებს.

– ნიკა მელიას ფარულ ჩანაწერს მოჰყვა გიული ალასანიას ჩანაწერის გავრცელება, რომელთა ავთენტიკურობა ამ დრომდე არ დადასტურებულა. როგორ შეაფასებთ ყველაფერ ამას?

– იგივე კომენტარი უნდა გავაკეთო, ჩემთვის ცუდის მანიშნებელია, რომ არ მოგვისმენია ოფიციალური პოზიცია, დაიწყო თუ არა გამოძიება. ამგვარ დანაშაულებთან მიმართებაში მწარე პრაქტიკა გვაქვს მიღებული, როცა მთავარი ის კი არ არის, ვინ რას ამბობს და რეალურად, ასე იყო თუ არა, არამედ, მასზე გაკეთებული კომენტარებით ფიგურანტების ე.წ. გაშავება ნაცადი ხერხია... ასე რომ, ეს არის ცუდი და კანონსაწინააღმდეგო.

– რადგანაც საქმე 2023 წლის პოლიტიკურ პროგნოზს ეხება, ელოდებით, რომ ამ წელს საქართველოში პოლიტიკურად რამე რადიკალურად შეიცვლება? თუნდაც მიხეილ სააკაშვილის სასამართლო საქმესთან დაკავშირებით, რა მოლოდინი გაქვთ?

– მიხეილ სააკაშვილის პროცესს რაც შეეხება, საზოგადოება ერთ საქმეს ადევნებს თვალ-ყურს, მაგრამ როგორც მახსოვს, კიდევ ორი საქმეა, რომელთა სასამართლო პროცესები წლის განმავლობაში, სავარაუდოდ, გაგრძელდება. ამდენად, ეს თემა საზოგადოების ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, იქნება. რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ მოვლენებს, იმის გათვალისწინებით, რომ 2024 წელს, განსხვავებული ფორმატით გვიწევს არჩევნები, ველი, რომ „ოცნება“ უფრო დიდი მასშტაბით შეეცდება ძველი მეთოდების გამოყენებას, რასაც ჰქვია ოპონენტების „გაშავება“, დისკრედიტაცია, ახალი ძალების არგაჩენა და საკუთარი „კვაზი პარტიების“ „გამოჩეკვა“, რათა ხმების მობილიზება და ძალაუფლების შენარჩუნება შეძლოს. მიზანი იქნება ოპონენტების დეზორიენტაცია და საკუთარი ამომრჩევლის შენარჩუნება. თუ ეს ვერ მოხერხდება, უშუალოდ, „ოცნებასთან“ მიმართებაში, ე.წ. ხალხის ძალის, ლევან ვასაძის „ერის“, „აი, იას“ და ამგვარი რაღაცების „გამოჩეკვა“, რათა იქ წავიდეს ხმები და „ოცნებაზე“ განაწყენებულმა ამომრჩეველმა ხმა მისცეს „სხვაფერ“ „ოცნებას“... უფრო უკეთ რომ ვთქვა, მორიგ ჯერზე მოატყუოს საკუთარი ამომრჩეველი, ამას შეეცდება მმართველი ძალა.

– რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ასეთ დროს, ოპოზიცია იყოს მძლავრი და ერთიანი?

– ჩვენ ისეთი არადემოკრატიული პარტიული სისტემა გვაქვს, რომ მასში კომფორტულად გრძნობენ თავს ოპოზიციონერები. სიტყვა არ უთქვამთ, როგორ ხედავენ პარტიული დემოკრატიის გაუმჯობესებას. ამიტომ, მეეჭვება, რომ ეს სწორად და დროულად გაიაზრონ... არჩევნებისთვის გადემოკრატიულება და გაძლიერება ერთდროულად მოახერხონ. ისინი კომფორტში არიან, ჩემი შეფასებით, ამ არადემოკრატიული სისტემის შენარჩუნებით, სხვადასხვა ძალა ცდილობს ერთმანეთის ჩანაცვლებას და ამ სისტემით სარგებლობის მიღებას. ეს მოცემულობა თუ არ შეიცვალა, ვიქნებით სულ ამ დღეში!

– პესიმისტურ ნოტაზე ვასრულებთ ინტერვიუს, ბატონო ლევან...

– დიდი ხანია, პესიმისტურად გვაქვს საქმე. რეალისტები რომ ვიყოთ, ეს ხარვეზები უნდა დავინახოთ, მაგრამ არ გვინდა, რადგან არაკომფორტული იქნება. სარკეში ჩაიხედავ და დაინახავ, რომ, თურმე, შენზეცაა დამოკიდებული და არ აკეთებ. არათუ არ აკეთებ, არამედ, ცდილობ, შეინარჩუნო ეს ცუდი სისტემა.

507 მილიონი ლარის შემოსავალი, გაზრდილი ტვირთბრუნვა და სატრანსპორტო ჰაბი ევროპა-აზიას შორის – წელს რკინიგზის მოდერნიზება იგეგმება

მაკა რუხაძე

სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზის“ 100%-იან წილს მთავრობა ფლობს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქვეყანამ ევროპა-აზიას შორის სატრანსპორტო ჰაბის ფუნქცია უნდა შეასრულოს, რისთვისაც რკინიგზის მოდერნიზება და ტვირთების გამტარუნარიანობის გაზრდაა აუცილებელი, ეს გადაწყვეტილება აბსოლუტურად ლოგიკურია. იქიდან გამომდინარე, რომ „საქართველოს რკინიგზას“ აქამდე „საპარტნიორო ფონდი“ ფლობდა, რომელიც თავის მხრივ, სახელმწიფოს საინვესტიციო ფონდია, ეს ცვლილება ფორმალური ხასიათისაა და რეალურად, ბევრი არც არაფერი შეცვლილა.



„საქართველოს რკინიგზის“ 100%-იან წილს მთავრობა ფლობს

ასეა, თუ ისე, „საქართველოს რკინიგზის“ 100%-იანი წილი ახლა უკვე ოფიციალურად საქართველოს მთავრობის საკუთრებაშია. ეს ნიშნავს, რომ ყოველგვარი სპეკულაციები თემაზე – ვინაა რკინიგზის ნამდვილი მფლობელი, დასრულდა. ლონდონის საფონდო ბირჟის განცხადება, რომელიც მედიაში, 2023 წლის იანვრის დასაწყისში გავრცელდა, ოფიციალურად, 2022 წლის 23 დეკემბრით თარიღდება. სწორედ ამ განცხადებით შევიტყვეთ, რომ რკინიგზის აქციები საქართველოს მთავრობის საკუთრებაში გადავიდა.

„2012 წლამდე, „საქართველოს რკინიგზას“ მთლიანად „საპარტნიორო ფონდი“ ფლობდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, მიუხედევად იმისა, რომ კომპანია არაპირდაპირ სახელმწიფო საწარმოდ განიხილებოდა, „საქართველოს რკინიგზას“ არასდროს გამოუყენებია ბიუჯეტის დაფინანსება“, – წერია ლონდონის საფონდი ბირჟის განცხადებაში.

ჯერ კიდევ 2022 წლის ზაფხულში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „საპარტნიორო ფონდის“ რეფორმის ფარგლებში, ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული „საქართველოს რკინიგზა“ მთავრობის მფლობელობაში გადავიდოდა, თუმცა თარიღი არ გასაჯაროებულა. ამჟამად, „საპარტნიორო ფონდის“ საკუთრებაში მხოლოდ ერთადერთი სახელმწიფო აქტივი რჩება – „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“.

შეგახსენებთ, რომ „საპარტნიორო ფონდი“ 2011 წელს შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე. ამ ფონდის მთავარი დანიშნულება, საქართველოში საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით, ინვესტიციების წახალისება უნდა ყოფილიყო.

ახლა, ვნახოთ, რა შემოსავალი აქვს „საქართველოს რკინიგზას“ და გავეცნოთ, როგორია მისი ტვირთბრუნვა. ოფიციალური მონაცემებით, 2022 წლის ცხრა თვეში, 507 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო. კომპანიის შემოსავლის მატება 20%-ით, 11 მილიონ ტონამდე გაზრდილმა ტვირთბრუნვამ განაპირობა.

„საქართველოს რკინიგზა“ ერთ-ერთია იმ სახელმწიფო საწარმოებიდან, რომელთა რეფორმაც 2023 წელს იგეგმება. წლების განმავლობაში, ეს კომპანია ზარალზე მუშაობდა, თუმცა გასული წლის პირველ ნახევარში რეკორდული, 161 მილიონი ლარის მოგება მიიღო.

2022 წლის ცხრა თვეში, „საქართველოს რკინიგზამ“ 507 100 000 ლარის შემოსავალი მიიღო და მოგებამ 278 400 000 ლარი შეადგინა. რაც შეეხება სატვირთო გადაზიდვების მაჩვენებლებს, იანვარ-სექტემბრის პერიოდში, გადაზიდვები წლიურად 20%-ით – 10 900 000 ტონამდე გაიზარდა. სატვირთო გადაზიდვებიდან მიღებულმა შემოსავალმა 99 000 000 აშშ დოლარი შეადგინა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შემოსავალი 22%-ით გაიზარდა.

„საქართველოს რკინიგზის“ ინფორმაციით, საკონტეინერო გადაზიდვების 2022 წლის ცხრა თვის მაჩვენებელი ასეთია:

BTK – 15 915 TEU, წლიური ზრდა – 12%; ჩინეთიდან – 9 509 TEU, წლიური ზრდა – 23%; ყაზახეთიდან – 15 822 TEU, წლიური ზრდა – 148%; შუა დერეფანი – 25 331 TEU, წლიური ზრდა – 79%.

2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2022 წლის ცხრა თვეში, მაზუთი KAZ-ის გადაზიდვა 627%-ით გაიზარდა, შაქრის – 304%-ით, კარბამიდი Cen. Asia-ს – 303%-ით, ნედლი ნავთობი KAZ-ის – 166%-ით, მეთანოლი AZ-ის – 147%-ით, კარბამიდი AZ-ის კი – 117%-ით.

არადა, 2021 წელი „საქართველოს რკინიგზამ“ ზარალით დაიწყო და პირველ ექვს თვეში, 32 000 000 ლარის ზარალზე გავიდა, თუმცა საბოლოოდ, წელი 52 700 000-ლარიანი მოგებით დაასრულა. 2016 წლის შემდეგ, ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც კომპანიამ, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი „საპარტნიორო ფონდი“ გახლდათ, წელი ზარალის გარეშე დახურა.

ახლა, თვალი გადავავლოთ „საქართველოს რკინიგზის“ მოგება/ზარალს, წლების მიხედვით:

2016 წელი – მოგება 65 100 000 ლარი; 2017 წელი – ზარალი 354 100 000 ლარი; 2018 წელი – ზარალი 716 500 000 ლარი; 2019 წელი – ზარალი 5 500 000 ლარი; 2020 წელი – ზარალი 164 600 000 ლარი; 2021 წელი – მოგება 52 700 000 მლნ ლარი.

ფაქტია, რომ „საქართველოს რკინიგზის“ 2022 წლის მოგების მაჩვენებლებს შენარჩუნება და გაზრდა სჭირდება, ამისთვის კი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საწარმოს რეფორმა/მოდერნიზება გარდაუვალია. იმისთვის, რომ ქვეყანამ სატრანსპორტო ჰაბის ფუნქცია შეასრულოს, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურამ და განსაკუთრებით, „საქართველოს რკინიგზამ“ გამართულად უნდა იმუშაოს. გთავაზობთ ამონარიდს ირაკლი ღარიბაშვილის ერთ-ერთი, ბოლო გამოსვლიდან, როდესაც მან განვლილი, 2022 წელი შეაჯამა:

„მოგეხსენებათ, რამდენიმე კვირის წინ, დავაანონსე, რომ ანაკლიის პორტი ჩვენი გადაწყვეტილებით, მთავრობის გადაწყვეტილებით აშენდება, სახელმწიფო უნდა იყოს მესაკუთრე აღნიშნული სტრატეგიული ობიექტის, ანაკლიის პორტის 51% იქნება სახელმწიფოს კუთვნილება. ფოთის პორტი გასხვისებულია, ბათუმის პორტი გასხვისებულია, ჩვენ არავითარი ბერკეტი არ გვაქვს, რომ გარკვეული რეგულაციები მოვახდინოთ ტარიფებთან მიმართებაში, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა მთელი ქვეყნები, განსაკუთრებით, ცენტრალური აზიის ქვეყნები თანხმდებიან, რომ აუცილებელია დივერსიფიკაცია და ახალი მარშრუტების დამუშავება, ჩვენს კორიდორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. განსაკუთრებული ყურადღება არის მიმართული ჩვენი კორიდორის მიმართ.

ამიტომ, აუცილებელია, რომ იყოს გამართული პორტები, ინფრასტრუქტურა, რკინიგზა და სწორედ ამ მიმართულებით, ჩვენ განსაკუთრებულ ძალისხმევას მივმართავთ და განსაკუთრებულ ინვესტიციებს ჩავდებთ. დანარჩენ 49%-ზე ჩვენ გვინდა, რომ გამოვაცხადოთ საერთაშორისო ტენდერი, ბევრი კომპანია გამოხატავს ინტერესს და უახლოეს რამდენიმე თვეში, გაირკვევა შესაბამისი შედეგიც.

რაც შეეხება „საქართველოს რკინიგზას“, რკინიგზის მიმართულებით, როგორც გითხარით, გვაქვს რეკორდული შემოსავლები და გადაზიდული ტვირთის რაოდენობა, მოცულობაც რეკორდულია. ჩვენ გვჭირდება რკინიგზის მოდერნიზაციის სწრაფად დასრულება, აუცილებელია ის, რომ გამტარუნარიანობა იყოს შესაბამისი და შესაფერისი იმ ტვირთთა ნაკადისთვის, რომელიც მოედინება, მოემართება ჩვენი კორიდორის მიმართ.

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი 2024 წელს დასრულდება. ჩვენს მეგობარ აზერბაიჯანთან უკვე მივაღწიეთ შეთანხმებას, 100 მილიონი დოლარი დამატებით გამოიყო ამ პროექტის დასასრულებლად და სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. 86% დასრულებულია და 2024 წელს აღნიშნული პროექტი საზეიმოდ გაიხსნება.

ძალიან მოკლედ გეტყვით, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ინტერესია, რომ ჩვენი ქვეყანა გარდავქმნათ არა მხოლოდ ენერგოჰაბად და ტრანსპორტის ჰაბად, ასევე, დიდი პოტენციალი არსებობს ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ციფრული კორიდორისა და საქართველოში ციფრული ჰაბის განვითარების მხრივ. ამ მიმართულებით, აქტიურად ვმუშაობთ, რადგან საქართველოს შეუძლია და აქვს პოტენციალი, რომ გახდეს ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ციფრული კორიდორი, ციფრული ჰაბი“.

აუდიტის 19 სკანდალური ანგარიში, რომელიც 2022 წელს მთავარ პროკურატურაში გაიგზავნა

მაკა რუხაძე

გასული წლის მნიშვნელოვანი ანგარიშების მიმოხილვა

წლებია, „ვერსია“ რეგულარულად აშუქებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებს, რომლებშიც სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ფინანსური დარღვევებია ასახული. ამჯერად, 2022 წლის რამდენიმე ანგარიშს გთავაზობთ – წლის განმავლობაში, უწყების ვებ-გვერდზე უამრავი დასკვნა გამოქვეყნდა, რომელიც „ვერსიაშიც“ გაშუქდა და მათი თავმოყრა ფიზიკურად შეუძლებელია, ამიტომ მხოლოდ იმ ანგარიშებს გაგაცნობთ, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მიმოხილვას კი იმ დასკვნებით ვიწყებთ, რომლებიც სახელმწიფო მაკონტროლებლებმა გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნეს, რადგან მათში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები გამოავლინეს.

პროკურატურაში გადაგზავნილი ანგარიშები

2022 წელს, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 19 ანგარიში გადააგზავნა. როგორც ცნობილია, ქვეყნის მთავარი მაკონტროლებლების მიერ გამოვლენილ დარღვევებზე სამართლებრივი რეაგირება უკვე დაწყებულია. გამოძიების დასრულებისთანავე გაირკვევა, რა ოდენობის თანხა შევა სახელმწიფო ბიუჯეტში და რომელი ჩინოვნიკი გამოემშვიდობება საკუთარ კაბინეტს. მაგალითად, 2018-2021 წლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებზე სამართლებრივი რეაგირების შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტში 850 000 ლარი შევიდა. 2018-2021 წლებში, აუდიტის სამსახურმა სულ 269 ანგარიში აუდიტი ჩაატარა, მათგან 114 ანგარიში პროკურატურაში გადაიგზავნა. 2018-2021 წლების აუდიტის ანგარიშების 42% სავარაუდო სამართალდარღვევას შეიცავდა.

პროკურატურაში გადაგზავნილი 19 ანგარიშის 68% საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებს ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ გენერალური პროკურატურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიშში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნებთან დაკავშირებით, პროკურატურის მიერ განხორციელებული რეაგირება და მიღწეული შედეგებიც აისახა. მეტიც, გენერალურმა პროკურატურამ გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში – 2018-2021 წლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან მიღებულ ანგარიშებთან დაკავშირებით განხორციელებული რეაგირების შესახებ. ამ ანგარიშის მიხედვით, აუდიტის სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და პროკურატურის გატარებული სამართლებრივი რეაგირების შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტს აუნაზღაურდა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანი – 850 ათასი ლარი.

19 ანგარიში, რომლებიც 2021 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა:

* **შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის 2018-2019 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში;**
* **სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიერ საინვესტიციო ვალდებულების სანაცვლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემის 2017-2018 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში;**
* **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის მასალები;**
* **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის მასალები;**
* **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის მასალები;**
* **თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების 2017-2018 წლების დაფინანსების შესაბამისობის აუდიტის მასალები; თბილისის განვითარების ფონდის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მასალები;**
* **ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მასალები;**
* **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ 2020 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების სისტემური შესაბამისობის აუდიტის მასალები;**
* **სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ 2018-2019 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის მასალები;**
* **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მასალები;**
* **ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში;**
* **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში;**
* **ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში;**
* **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის მასალები;**
* **ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის მასალები;**
* **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებებისა და დაწესებულებების სარგებლობაში არსებული სახელმწიფო უძრავი ქონების გამოყენების შესაბამისობის აუდიტის მასალები;**
* **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებისათვის;**
* **გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტის მასალები;**
* **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2020 წლის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიშის მასალები.**

ეს ანგარიშები „ვერსიაში“ დეტალურად უკვე განვიხილეთ, თუმცა მაინც შეგახსენებთ, რომ დარღვევები, რომლებიც სახელმწიფო აუდიტორებმა გამოავლინეს, ძირითადად, ისეთ მუხლებს ეხება, როგორებიცა მითვისება ან გაფლანგვა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, თაღლითობა და სამსახურებრივი გულგრილობა. დარღვევები სისტემური ხასიათის ნაკლოვანებებს მოიცავს და უკავშირდება საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი, არაეკონომიური, არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევებს, ასევე, შესყიდვებსა და აქტივების მართვაში აღმოჩენილ ხარვეზებს.

დარღვევები ძიუდოს ფედერაციაში

2022 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე ძიუდოს ეროვნული ფედერაციის აუდიტის ანგარიშიც გამოქვეყნდა, რომელიც „ვერსიამ“ დეტალურად განიხილა. სახელმწიფო აუდიტის შედეგად, დარღვევები გამოვლინდა, როგორც სახელმწიფო შესყიდვებში, ასევე შრომის ანაზღაურებასა და შიდა კონტროლში.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ, სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას, რიგ შემთხვევებში, მიმწოდებელ კომპანიებს ბაზრის კვლევისა და ალტერნატიული შეთავაზებების განხილვა-შეფასების გარეშე არჩევდნენ. კერძოდ, სპორტსმენთა შეკრებებზე, სასტუმრო მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებებით, გათვალისწინებული არ ყოფილა მოწოდებული მომსახურების ხარისხის ინსპექტირების მექანიზმები, შეთანხმებული და განსაზღვრული არ იყო სპორტსმენთა კვებისთვის საჭირო მენიუ და მისი ღირებულება. მეტიც, სასტუმრო მომსახურების ერთეულის ღირებულებები გაურკვეველი იყო.

„სატრანსპორტო მომსახურების 70%, რისთვისაც 204 147 ლარი დაიხარჯა, ბაზრის კვლევის გარეშე, მხოლოდ ერთი მომწოდებლისგან იყო შესყიდული. მომსახურების დამადასტურებელ დოკუმენტებში არ მიუთითებიათ სატრანსპორტო საშუალებები და არც გადასაზიდი საქონლის დასახელებები. შესაბამისად, გაურკვეველია, რა პარამეტრებსა და ტარიფებზე დაყრდნობით ადგენდნენ სატრანსპორტო მომსახურების თანხებს. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი და იმავე მომსახურე ორგანიზაციის პირობებშიც კი, საწვრთნელ შეკრებებზე გადასაზიდი

დასასრული მე-8 გვერდზე

აუდიტის 19 სკანდალური ანგარიში, რომელიც 2022 წელს მთავარ პროკურატურაში გაიგზავნა

მე-7 გვერდიდან

ინვენტარის მოცულობისა და მარშრუტის უცვლელობის დროს, ტრანსპორტირების ხარჯი არსებითად განსხვავდებოდა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ, საერთაშორისო ტურნირებსა და შეკრებებზე სპორტსმენთა გამგზავრების მიზნით, ბაზრის კვლევისა და ხელშეკრულებების გაფორმების გარეშე, 967 583 ლარის ღირებულების ავიაბილეთები შესყიდულია შუამავალი კომპანიის, ძიუდოს ფედერაციის კონტროლს დაქვემდებარებული ააიპ „ძიუდოს განვითარების ხელშეწყობის ფონდის“ მიერ 2014 წელს, 100%-იანი წილით დაფუძნებული შპს „ჯ.ფ. თრეველისგან“. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ამ კომპანიისგან შესყიდული ბილეთის ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვა სპორტული ფედერაციების მიერ, ანალოგიურ პერიოდში, ამავე მიმართულებით შესყიდული ავიაბილეთების ღირებულებისგან.

გარდა ამისა, „თბილისის გრან-პრი 2018-ის“ ტურნირის ორგანიზების მიზნით, 24 355 ლარის სარეკლამო მომსახურება ძიუდოს ეროვნულმა ფედერაციამ ხელშეკრულების გაფორმებამდე 20 დღით ადრე, ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწის მიერ დაფუძნებული შპს „მიქსიდან“ შეისყიდა!

სახელმწიფო აუდიტორებმა დარღვევები გამოავლინეს შრომის ანაზღაურების ნაწილშიც. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ საშტატო განრიგით გათვალისწინებული ადმინისტრაციასა და მომსახურე პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებითა და ფედერაციის სხვა ოფიციალური დოკუმენტებით, რიგ შემთხვევებში, სამუშაოს აღწერილობები არ განუსაზღვრავთ.

ხარვეზები გამოვლინდა შიდა კონტროლშიც. მაგალითად, აღმასკომის მხრიდან, ფედერაციის საქმიანობაზე წესდებით გათვალისწინებული კონტროლი სათანადოდ არ ხორციელდება, კერძოდ, ფედერაციის ბიუჯეტის პროექტი აღმასკომისა და ყრილობის მიერ, არ დამტკიცებულა.

დარღვევები დისტანციურ სწავლებაში

სახელმწიფო აუდიტორები საჯარო სკოლებში დისტანციური სწავლებითაც დაინტერესდნენ. მიზეზი მარტივია – 2020 წელს, COVID-19-ის პანდემიამ მთელი მსოფლიო სრულიად ახალი რეალობისა და და გამოწვევების წინაშე დააყენა. ბუნებრივია, ახალ რეალობას განათლების სისტემაც უნდა მორგებოდა, რის გამოც აუცილებელი გახდა სასწავლო პროცესის ვირტუალურ სივრცეში გადატანა და დისტანციური ფორმატის შემოღება. სახელმწიფო აუდიტის სამსახური დაინტერესდა, რამდენად ეფექტიანად წარიმართა საქართველოს საჯარო სკოლებში დისტანციური სწავლება. აუდიტი ჩატარდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო – USAID-ის მხარდაჭერით, აშშ-ის მთავრობის ანგარიშვალდებულების სამსახურის – GAO-სა და აუდიტის განვითარების ცენტრის – CAE-ს ექსპერტების ჩართულობით. როგორც მოსალოდნელი იყო, აუდიტის შედეგად, ის ნაკლოვანებები და ხარვეზები გამოვლინდა, რომლებიც გავლენას ახდენდნენ სასწავლო პროცესზე დისტანციურ ფორმატში.

ვიდრე ძირითად დარღვევებს განვიხილავთ, შეგახსენებთ, რომ COVID-19-ის პანდემით შექმნილი ვითარების გამო, 2020 წლის 21 მარტს, საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებები დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადავიდნენ და საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, სამინისტრომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო:

„Microsoft office 365 Teams-ში, ყველა საჯარო სკოლის კლასებისა და საგნებისთვის ვირტუალური საკლასო ოთახები შეიქმნა; Microsoft Office 365-ის მომხმარებლის პროფილი 528 327 მოსწავლისა და 52 124 მასწავლებლისთვის შეიქმნა, რისთვისაც Microsoft Teams-ის ქართულ ენაზე ადაპტირება გახდა საჭირო; სატელევიზიო სივრცეში დაიწყო პროექტი „ტელესკოლა“; რაც მთავარია, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, დისტანციური სწავლება განისაზღვრა, როგორც სწავლების ერთ-ერთი ფორმა, დამტკიცდა დისტანციური სწავლების წესი, განისაზღვრა მოსწავლეთა ყოველდღიური დატვირთვა და სასკოლო საათობრივი ბადე; გაფორმდა მემორანდუმი ინტერნეტის პროვაიდერ კომპანიებთან, რომლის ფარგლებშიც, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს მობილური ინტერნეტის სპეციალური პაკეტები შესთავაზეს; 2020 წლიდან, მასწავლებელთა ყველა ტრენინგი ტარდებოდა ონლაინ, Teams-ის გამოყენებით. 2021 წელს, ამ პლატფორმაზე, სხვადასხვა საგნობრივი და ზოგადპროფესიული მიმართულებით, 38 424-მა მასწავლებელმა, ჯამში, 69 ტრენინგ-კურსი გაიარა. პანდემიის პირველ ეტაპზე, ყველა სკოლამ სწავლება ონლაინ-რეჟიმში განახორციელა, ხოლო ამის შემდეგ, ეტაპობრივად, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, რეგიონებისა და ქალაქების სკოლები, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, იხსნებოდა და იხურებოდა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

ახლა, რაც შეეხება დარღვევებს, ქვეყნის მასშტაბით, მოსწავლეების გარკვეულ ნაწილს ხელი არ მიუწვდება დისტანციური სწავლებისთვის საჭირო რესურსებზე – კომპიუტერებსა და ინტერნეტზე. სამწუხაროდ, განათლების სამინისტრო ასეთი მოსწავლეების რაოდენობის შესახებ სრულ ინფორმაციას არ ფლობს.

„დისტანციური სწავლების განსახორციელებელ ერთ-ერთ საშუალებად, განათლების სამინისტრომ გამოიყენა პლატფორმა – Microsoft Teams-ი, რომლის ლიცენზიების შესყიდვა დაიწყო 2019 წელს. 2021 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, მოსწავლეების მიერ, ბონუს-ლიცენზიების ათვისების მაჩვენებელი დაბალი იყო და მხოლოდ 42% გახლდათ, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ აუთვისებელი იყო ფასიანი ლიცენზიების 17.5% და 10%. ლიცენზიების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრის, გააქტიურების გეგმისა და მონიტორინგის მექანიზმების ნაკლებობის პირობებში, რესურსის არაპროდუქტიულად გამოყენების რისკები გაჩნდა“.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2017 წლიდან 2021 წლის ივლისის ჩათვლით, საჯარო სკოლებში დასაქმებული მასწავლებლების 42% არ იყო ჩართული საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით განხორციელებულ ტრენინგ-მოდულებში. 2017 წლიდან, ცენტრმა დაიწყო მასწავლებელთა გადამზადება კომპიუტერული უნარების განსავითარებლად. მიუხედავად ამისა, პანდემიამდე, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში გადამზადებული იყო 15 000 პედაგოგი, რაც მასწავლებელთა 27%-ია.

„დისტანციური სწავლების ერთ-ერთ ფორმად, საგანმანათლებლო პროექტი „ტელესკოლა“ გამოიყენეს, რომელიც სკოლის მოსწავლეებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტისა და პროგრამის მიხედვით, ტელე-გაკვეთილების ჩატარებას ითვალისწინებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „ტელესკოლის“ გაკვეთილები სრულად არ ფარავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო საგანს. შესაბამისად, ის მოსწავლეები, რომლებიც მხოლოდ „ტელესკოლით“ იღებენ განათლებას, კონკრეტულ საგნებში, შესაძლოა, საგაკვეთილო პროცესის მიღმა დარჩნენ. ამავე პროექტი ფარგლებში, რეგიონების მიხედვით, იმ მოსწავლეთა რაოდენობას აღრიცხავენ, რომლებიც მხოლოდ „ტელესკოლით“ იღებენ განათლებას, თუმცა პროექტის განმახორციელებელი უწყებები არ ფლობენ სრულ და უახლეს ინფორმაციას „ტელესკოლის“ ნახვადობის სტატისტიკის შესახებ, სხვადასხვა პარამეტრის გათვალისწინებით, რაც აფერხებს პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესს“, – აღნიშნულია აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო მაკონტროლებლების მტკიცებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ აქვს შემუშავებული სამოქმედო გეგმა, რომლითაც საგანგებო მდგომარეობის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები განისაზღვრება, რათა გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა, მომავალში, ნაკლები ზიანი მიაყენოს განათლების სისტემას. ამასთან, არ არის დანერგილი პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს პანდემიის გრძელვადიანი ეფექტებისა და დისტანციური სწავლების შედეგების პოტენციური გავლენის შეფასებას განათლების სისტემაზე. სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ პანდემიის მოკლევადიანი ეფექტები ნეგატიურად აისახა მოსწავლეთა შედეგებზე და ყოველივე ეს, მიუთითებს, რომ საგანგებო გეგმის შემუშავება აუცილებელია.

„საქართველოს მაღალმთიან რეგიონებსა და ბარის შორეულ სოფლებში, მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით, ხორციელდება პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ და ქვეპროგრამა – „დისტანციური სწავლება“, რომლებიც სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ არსებული დეფიციტის შევსებას. ცენტრის ინფორმაციით, 2018-2021 წლებში, სხვადასხვა მიზეზით, 309 ერთეული მასწავლებლის ვაკანსია ვერ შეივსო. მეტიც, არსებობს რისკი, რომ ამ დეფიციტის გავლენით, 2018-2021 წლებში, სხვადასხვა სასწავლო წელს, რომელიმე საგანში, სათანადო განათლება, ჯამში, დაახლოებით, 15 000-მა მოსწავლემ ვერ მიიღო“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, „ასწავლე საქართველოსთვის“ და „დისტანციური სწავლება“ ემსახურება საერთო მიზანს – აღმოფხვრას მასწავლებელთა დეფიციტი მაღალმთიან რეგიონებში, თუმცა სწავლების წარმართვის ფორმა განსხვავებულია. ზოგადად, „დისტანციური სწავლების“ ქვეპროგრამის განხორციელება, დაახლოებით, ოთხჯერ უფრო ნაკლები ფინანსური რესურსითაა შესაძლებელი და უფრო მეტი დეფიციტური კადრის მოძიებაც შეუძლია, რაც მოსწავლეებისთვის განათლების ხელმისაწვდომობას გაზრდის იმ შემთხვევებში, როდესაც რეგიონებში, კვალიფიციური კადრის მივლინება შეუძლებელია.

სამართალი

№1 18 იანვარი 2023 წ

რამდენი ქართველი „კანონიერი ქურდი“ მოკვდა ბოლო დროს

რას ვერ იყოფენ კრიმინალები ოკუპირებულ აფხაზეთში

ბათო ჯაფარიძე

2017 წლის 17 თებერვალს, სარფის საბაჟოზე, ქართველმა სამართალდამცავებმა „კანონიერი ქურდი“ გია გიორგაძე, იგივე, „გია ტბილისკი“ დააკავეს. იგი საქართველოში შემოსვლას ოფიციალურად – პასპორტითა და საბაჟო გამშვები პუნქტის კვეთით აპირებდა, თუმცა იმის გამო, რომ 223-ე პრიმა მუხლი ანუ „კანონიერი ქურდობა“ ჩვენთან დასჯადია, ის დააკავეს.

სასამართლო პროცესი იმავე წლის 6 ივნისს დასრულდა და გიორგაძე მოსამართლე გიორგი ებანოიძემ დარბაზიდან გაათავისუფლა. ცოტა ხნით ადრე, დარბაზიდან გათავისუფლდა იგივე ბრალდებით დაკავებული კიდევ ერთი „კანონიერი ქურდი“ რევაზ ლორთქიფანიძე.

„რას მედავებიან, აზრზე არ ვარ. რა დავაშავე? მე ადრე მაგაზე ვიჯექი და მოვიხადე „სროკი“. ასე როგორ შეიძლება? სააკაშვილმა რაღაც სულელური „ზაკონი“ შემოიღო და თქვენ ისევ ამ „ზაკონით“ გვასამართლებთ, თუ რა ხდება, ვერ გავიგე? თვითონ სააკაშვილი და მაგის მთელი „სასტავი“ ახლა „როზისკშია“ და მე მაგათი „ზაკონებით“ რატომ უნდა გამიშვათ ციხეზე, როცა არაფერი დამიშავებია?“ – ეს სიტყვები „გია ტბილისკიმ“ სასამართლო პროცესზე, განაჩენის გამოცხადებამდე, 2017 წელს თქვა.

გიორგაძე არასდროს ყოფილა რიგითი „კანონიერი ქურდი“. ის 1981 წელს, ჯერ კიდევ 19 წლის ასაკში, ქურდად ლეგენდარულმა არსენ მიქელაძემ „მონათლა“ და მას შემდეგ, გიორგაძისა ავტორიტეტი ყოველწლიურად იზრდებოდა.

საქართველოში ქურდობის გამო სასჯელის მოხდის შემდეგ, მან რუსეთს მიაშურა, სადაც 2014 წელს, ავტომობილების შავი ბაზრის კონტროლისთვის დაეკავეს. სხვათა შორის, როცა სამართალდამცავებს გაურბოდა, ცეცხლი გაუხსნეს და მისი დაპატიმრება მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხეს. რუსული ციხიდან გათავისუფლების შემდეგ კი, გიორგაძემ ევროპას მიაშურა და როგორც ამბობენ, საკმაოდ მშვიდ ცხოვრებას ეწეოდა, თუმცა მისი გავლენის ქვეშ, ლამის, ევროპის ყველა ქვეყანა იყო.

სულ ბოლოს, „გია ტბილისკი“ მძიმე დაავადებას თურქეთის კლინიკაში ებრძოდა, სადაც მიმდინარე წლის 9 იანვარს გარდაიცვალა.

იმავე დღეს, ოღონდ სოხუმის კლინიკაში, კიდევ ერთი „კანონიერი ქურდი“ თენგიზ ლაკერბაიაც აღესრულა. ახალი წლის წინა დღეებში, 26 დეკემბერს, კიდევ ერთი „კანონიერი ქურდი“ გია დიაკვნიშვილი გარდაიცვალა, რომელმაც ორი თვით ადრე, თვითმკვლელობა სცადა. როგორც ჩანს, ტყვიამ თავისი საქმე გვიან, მაგრამ მაინც გააკეთა – დიაკვნიშვილს ჯერ ნერვული სისტემა დაუზიანდა და მხედველობა დაკარგა, თუმცა ექიმები მის გადარჩენას მაინც ცდილობდნენ, მაგრამ ორგანიზმმა ვერ გაუძლო.

მოდით, ისევ გიორგაძეს დავუბრუნდეთ.

„გია ტბილისკი“ არასდროს არ იყო რიგითი კრიმინალი. დედაქალაქში დაბადებულ-გაზრდილ გიორგაძეს სამეგობრო ყველა სფეროში ჰყავდა, მათ შორის, პოლიტიკაშიც. მის სახელს უკავშირებენ 2011 წელს, პარიზში გამართულ „კანონიერი ქურდების“ შეხვედრას, სადაც მაშინდელი ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გოგა ხაინდრავაც იმყოფებოდა. მაშინ, ამ შეხვედრაზე, ფილმების მთელი სერია გადაიღო წინა ხელისუფლებამ, საქმეში ფრანგული ჟანდარმერიაც კი ჩართეს, ბრიუსელიდან პარიზში ჩაფრინდა იუსტიციის მინისტრის იმჟამინდელი მოადგილე თინა ბურჯალიანი, მაგრამ საქმეს მსვლელობა ვერ მიეცა.

მაშინ, პარიზში, ხაინდრავას მასპინძელი „გია ტბილისკის“ მეგობარი და არანაკლებ გავლენიანი რევაზ ლორთქიფანიძე იყო და ცოდვა გამხელილი სჯობს, იმასაც ამბობენ, 2017 წელს, გიორგაძისა და ლირთქიფანიძის ციხიდან გაშვება, ასევე, 223-ე პრიმა მუხლის არგამოყენება, სწორედ პარიზული შეხვედრისა და ხაინდრავასთან მეგობრობის დამსახურება იყოო.

რადგან „კანონიერ ქურდებზე“ ვსაუბრობთ, იმასაც გეტყვით, რომ ამ მიმართულებით, აფხაზეთში სიტუაცია დაძაბულია. იქ რამდენიმე კლანი ებრძვის ერთმანეთს და არც ისაა დასამალი, რომ ოფიციალურად, პოლიტიკოსების გარდა, აფხაზეთისადმი ინტერესი ქართველ ქურდებსაც აქვთ. სამწუხაროდ, აფხაზეთი ოკუპირებულია და კვლავ არ შედის საქართველოს იურიდსდიქციაში, თუმცა სწორედ ეს არის იმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ ისედაც სამოთხედ აღიარებული ჩვენი ქვეყნის ნაწილი კრიმინალებისთვისაც სამოთხედაა ქცეული.

მეტიც, „კანონიერი ქურდები“ იქაურ პოლიტიკაშიც ერევიან და მონაწილეობას იღებენ არა მარტო ქალაქების მერების დანიშვნის საკითხში, არამედ, პოლიციის უფროსების კანდიდატურებსაც კი მათ უთანხმებენ. ამიტომ, ამ მსუყე ნაჭერს უყურადღებოდ არ ტოვებენ და ამბობენ, რომ აფხაზეთში გავლენების გადანაწილებისთვის, მალე ნამდვილი ბრძოლა ატყდება და არაერთი კრიმინალის სისხლი დაიღვრება.

როგორ მოწამლა მზარეულის თანაშემწემ რესტორნის დირექტორი

სისხლიანი შურისძიების დეტალები

ბათო ჯაფარიძე

მსოფლიო მედიცინის მიღწევების მიუხედავად, შაქრიანი დიაბეტი ბოლომდე დღესაც არ იკურნება. დიაბეტიან ადამიანებს მთელი ცხოვრების განმავლობაში უწევთ არა მარტო მკაცრი დიეტის დაცვა, არამედ, ზოგჯერ ინსულინის შპრიცით სიარული, რათა საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დოზა მიიღონ და სისხლში შაქრის დონე დაირეგულირონ, თუმცა ინსულინი, შესაძლოა, საწამლავად იქცეს, თუ მას განუსაზღვრელი დოზით შევიყვანთ ორგანიზმში. სწორედ ასეთი ვერსია გავრცელდა მაშინ, როცა საკუტარ კაბინეტში, ერთ-ერთი რესტორნის შეფი გარდაცვლილი იპოვეს. მაშინ რესტორნის დირექტორობა, მინისტრობას თუ არა, მის მოადგილეობას მაინც უდრიდა და ამიტომ, მაღალჩინოსნებმა ერთი ამბავი ატეხეს, თუმცა ყველა მშვიდად იყო – მას დიაბეტი აწუხებდა, ინსულინს თავად იკეთებდა და იმის გათვალისწინებით, რომ შპრიცი და ამპულა კაბინეტში მაგიდაზე იდო, ყველას ეგონა, რომ კაცს დოზა შეეშალა.

„სიმართლე გითხრათ, მე მხოლოდ იმიტომ გამომიძახეს, რომ ხალხის თვალში საქმისთვის სერიოზული ელფერი მიეცათ, თორემ მინისტრის მოადგილემაც მითხრა, არაფერია საგანგაშო, არც ძალადობის კვალია, არც აურზაური გაუგია ვინმეს. მეტიც, იმ დროს, მისი ცოლიც რესტორანში იყო და გვამიც მან აღმოაჩინაო. ამიტომ, ადგილზე არხეინად მივედი, ექსპერტებს უკვე წაღებული ჰქონდათ გვამიც და ნივთმტკიცებაც, ამიტომ იქაურობას, უბრალოდ, თვალი მოვავლე და სამსახურში დავბრუნდი“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ყველაფერი თავდაყირა ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ დადგა, რომლის ცნობითაც, მამაკაცი ორგანიზმში საწამლავის დიდი დოზის მოხვედრის შემდეგ გარდაიცვალა, საწამლავი კი... ინსულინის შპრიცით იყო შეყვანილი. ინსულინის ამპულები ახალი ნაყიდი იყო და ცოლმაც დაადასტურა, რომ ქმარმა დაურეკა და ამპულების მიტანა სთხოვა, მანაც იყიდა და მიიტანა. შემდეგ სამზარაულოში გავიდა, სურდა, რამე ტკბილი ეჭამა, შეჭამა კიდეც, შემდეგ კი, როცა ქმრის კაბინეტში დაბრუნდა, ის გარდაცვლილი დახვდა ანუ არ დაელოდა, როდის გაიკეთებდა ქმარი ნემსს, რადგან მეუღლე ყველაფერ ამას ყოველთვის მარტო და ძალიან მარტივად აკეთებდა. იმის მიუხედავად, რომ გამოძიებამ მალევე დაადგინა, რესტორნის დირექტორს ახალგაზრდა საყვარელი ჰყავდაო, ცოლს მისი მოკვლის მოტივი ნამდვილად არ ჰქონდა, რადგან უდიდეს ფუფუნებაში ცხოვრობდა – არსად მუშაობდა, მინისტრების ცოლებთან მეგობრობდა, მათთან ერთად დადიოდა სხვადასხვა კურორტებზე და შესაბამისად, ქმარი თუ სადმე „თვალს წყალს დაალევინებდა“, დიდად არ ადარდებდა. იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერტებმა ყველა ამპულა წაიღეს, ექსპერტიზა ჩაუტარეს და... აღმოჩნდა, რომ საწამლავი ერთ მათგანშიც არ იყო.

„შპრიცი – მკვლელმა საწამლავი სწორედ იქ ჩაასხა. სწორედ რომ ჩაასხა, რადგან, ექსპერტების მტკიცებით, მკვლელი გადასარევად ერკვეოდა ქიმიაში, რომელმაც შპრიცის შიდა კედლებზე საწამლავი რამდენჯერმე დაასხა და გააშრო. შემდეგ კი, როცა შპრიცში სითხე შევიდა, საწამლავი კედლებიდან მარტივად შეერია და სიკვდილიც ამან გამოიწვია. კითხვა, ვის შეიძლებოდა მოეკლა რესტორნის დირექტორი, უპასუხოდ დარჩა, რადგან მოკვლის მოტივი არავის ჰქონდა, მოტივი კი, ასეთი დანაშაულის დროს, მთავარია“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

რა თქმა უნდა, დაკითხვაზე დაიბარეს ახალგაზრდა ქალბატონიც, რომელთანაც გარდაცვლილს ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ფორმალურად დაკითხეს, ვინაიდან მიხვდნენ, რომ მარჩენალის მოკვლა არ აწყობდა და მხოლოდ იმას მოთქვამდა, მანქანის ყიდვას დამპირდა მომავალ კვირაში და, ნეტავ, მოესწროო. ჰო, ძალოვნებმა ოქმში არ შეიტანეს, რომ კაბინეტის სეიფიდან, დაახლოებით, 30 ათასი მანეთი ამოიღეს, მაშინ ძიება სხვა მიმართულებითაც უნდა წასულიყო, ეს არავის აწყობდა და გარდაცვლილზეც ხელების შეწმენდას აზრი არ ჰქონდა. მის სამეგობროში მოიკითხეს, ხომ არ ჰქონდა ვინმესთან გარდაცვლილს კონფლიქტი, ასევე, სანათესაოში, ან შვილებს ხომ არ ემუქრებოდა ვინმე, მაგრამ არაფერი ამდაგვარი. დარჩა ერთი, მთავარი ვერსია – ვიღაცას სურდა მისი ადგილი და ცოცხალ კაცს გვერდით ვერ სწევდა, მკვდარი კი... ამ საქმეში უკვე მინისტრის მოადგილე ჩაერთო და შესაბამის სტრუქტურებში მოიკითხა, ვინმე ხომ არ იყო ისეთი, ვინც გარდაცვლილის ადგილს უმიზნებდა, მაგრამ ყველამ ხელები გაასავსავა, არავინ მოსულა, ან ვინ მობედავდა, როცა ასეთი, ყველასთვის მისაღები პიროვნება იყო რესტორნის დირექტორადო.

რესტორნის მომსახურე პერსონალი გულდასმით შეამოწმეს და ამ შემთხვევაშიც, სიახლე ვერ აღმოაჩინეს. ყველა პატიოსანი, კანონმორჩილი მოქალაქე იყო და რაც მთავარია, ერთ მათგანსაც კი არ ჰქონია დირექტორის მკვლელობის მოტივი, რადგან თანამშრომლებს მამაშვილურად ექცეოდა და ფულს, პრაქტიკულად, ყველას აკეთებინებდა. ცალკე – სამართალდამცავები და ცალკე – ოჯახის წევრები, გაოცებულნი იყვნენ მომხდარით. ის, რომ კონკრეტულად დირექტორის მოკვლა სურდათ და არა სხვა ვინმესი, ცხადი იყო, რადგან სწორედ მისი შპრიცი მოწამლეს. მოტივის გარეშე კი ასეთი მკვლელობა წარმოუდგენელი ჩანდა, თანაც სამი დღე გავიდა მისი გარდაცვალებიდან და რესტორნის დირექტორობაზე ღიად პრეტენზიას არავინ აცხადებდა, ეჭვი ამ მიმართულებით მაინც რომ მიეტანათ.

„ისევ რესტორნის თანამშრომლების სიას ჩავუჯექი. პრაქტიკულად, ყველა მათგანი წლების განმავლობაში მუშაობდა რესტორანში, მხოლოდ ერთი, მზარეულის დამხმარე იყო ახალი, 8 თვის დაწყებული ჰქონდა მუშაობა, მაგრამ ბიჭს ყველა დადებითად ახასიათებდა და ამბობდა, რომ ძალიან მონდომებული იყო, დირექტორიც კი მამაშვილურად ექცეოდა. რეალურად, მოტივი მასაც არ უნდა ჰქონოდა და ხელი ჩავიქნიე, თუმცა დაახლოებით, ერთი კვირის შემდეგ, სამინისტროში დამიბარეს და ხელში ძაფის ის ბოლო მომცეს, რომელსაც ეს აბლაბუდა უნდა გაეხსნა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

როგორც გაირკვა, დაახლოებით, ერთი წლის წინ, რესტორნის დირექტორს ავარია მოუხდა. მართალია, საქმე მალევე ჩაიფარცხა და ჩაიფარცხა ისე, რომ ეს საქმე აღარავის ახსოვდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს ამბავი მსხვერპლით დასრულდა. მანქანაში, რომელსაც დირექტორის „ვოლგა“ დაეჯახა, ახალგაზრდა ქალი და მამაკაცი ისხდნენ, ქალი საავადმყოფოში გარდაიცვალა. გამომძიებლებმა მამაკაცი მოიკითხეს და გაარკვიეს, რომ დირექტორის მკვლელობის დროს, მივლინებით, სომხეთში იმყოფებოდა.

„რეალურად, ამ საქმეში რესტორნის დირექტორის ბრალეულობა არ იკვეთებოდა, რადგან ავარია მისი ბრალი არ იყო, თუმცა საქმე ის გახლდათ, რომ ის მუდმივად მძღოლთან ერთად დადიოდა, იმ დღეს კი საჭეს თავად მართავდა. წინა მანქანა მოცურდა, დირექტორმა კი დამუხრუჭება ვერ მოახერხა და მის გზაზე გადმოსული ავტომობილი პრაქტიკულად, შუაზე გაჭრა. გარდაცვლილის გვარს დავხედე, არ მეცნო და ის იყო, ხელი უნდა ჩამექნია, რომ მისი საბუთების შესწავლისას აღმოვაჩინე – გარდაცვლილ გოგონას ნახევარძმა ჰყავდა და ის... რესტორანში, მზარეულის ახალი თანაშემწე იყო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ბიჭის დასაკავებლად ოპერჯგუფი გავიდა, მაგრამ მითითებულ მისამართზე არ დახვდათ. მასზე ძებნა გამოცხადდა, სახლთან, მის მეგობრებთან ოპერები მორიგეობდნენ, მაგრამ ამაოდ – არსად ჩანდა. გამომძიებლებმა იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან, ბიჭს აუცილებლად დაიჭერდნენ, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, განყოფილებაში თავად გამოცხადდა და აღიარა დირექტორის მკვლელობა.

„რესტორანში სწორედ შურისძიების მიზნით მოვეწყვე და ჩემს დროს ვუცდიდი. ახლა იტყვით, რომ დირექტორი ავარიაში დამნაშავე არ იყო და ეგებ, არც იყო, მაგრამ იმას რატომ არავინ ამბობს, რომ შემთხვევის ადგილი მიატოვა და გაიქცა. არადა, მის ავტომობილს გადაადგილება შეეძლო და როგორც ექიმებმა თქვეს, ჩემი და მალე რომ მიეყვანათ საავადმყოფოში, გადარჩენის შანსი იქნებოდა. ის კი გაიქცა და სასიკვდილოდ გაწირა. საიდან მოვიტანე საწამლავი, მნიშვნელობა არ აქვს, შპრიცს მე ვამუშავებდი და ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, იმ შპრიცს გამოიყენებდა და ასეც მოხდა. ჩადენილს არ ვნანობ, მაგრა, არ ვარ კრიმინალი, არ ვარ მოწოდებით დამნაშავე და მაწუხებს ის, რაც ჩავიდინე. ამიტომ, მინდა სასჯელი მოვიხადო“, – განაცხადა ეჭვმიტანილმა.

სასამართლო სხდომები დიდხანს არ გაგრძელებულა და მილიციაში საკუთარი ნებით გამოცხადებულ ახალგაზრდას 12 წელი მიუსაჯეს. ადვოკატმა აფექტი ვერ დაამტკიცა და სასამართლომ ბრალი კარგად მოფიქრებული, განზრახ მკვლელობის ბრალდებით წაუყენა.

ბათო ჯაფარიძე

ადამიანები ამა თუ იმ პროფესიას იშვიათად ირჩევენ შემთხვევით. მოსახლეობის ძირითად ნაწილს ბავშვობიდანვე სურს გამოვიდეს პოლიციელი, მეხანძრე, ინჟინერი, ფინანსისტი თუ მძღოლი. ჰო, მძღოლობაზე ბევრი ოცნებობს, მერე ამ ოცნებას იხდენს კიდეც და ძალიან ბედნიერიცაა. შემთხვევით არც პოლიციელები ხდებიან – ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს თავიდანვე სურთ ან გამომძიებლობა, ან მოსამართლეობა, პროკურორობა, ან ადვოკატობა და მიზნისკენ ჯიუტად მიისწრაფვიან. როცა საქმე ჟურნალისტიკას ეხება, უფრო რთულადაა საქმე – თუ შინაგანად, მოწოდებით, სულით, სხეულით და გონებით ჟურნალისტი არ ხარ, არაფერი გამოვა.

როგორ მოკლეს ძალოვანი უწყების თანამშრომელი ხალხმრავალ ადგილას

ვინ იყო ხალიანი ჯიბგირი, რომელიც გაქცევის მცდელობისას დაიღუპა

„სამართალდამცავ ორგანოებში ახალი დაწყებული მქონდა მუშაობა, როცა ცუდი შემთხვევა მოხდა. ჩვენი ერთ-ერთი თანამშრომელი, შაბათ დღეს, ცოლ-შვილთან ერთად, თბილისის ცენტრალური უნივერმაღის შესასვლელთან ქურდობის ფაქტს შეესწრო. მოქალაქეს ჩანთიდან საფულე ამოაცალეს, ამან ქურდი მაშინვე ასფალტზე დააგდო, ხელები ამოუგრიხა და სწორედ ამ დროს, მეორემ, რომელიც სავარაუდოდ, „პადელნიკი“ იყო, მარცხენა თირკმლის მხარეს „სპიცი“ გაუყარა. ყველაფერი წამებში მოხდა, ჯიბგირები გაიქცნენ, ჩვენი თანამშრომლის ცოლმა კივილი ატეხა, ხალხი დაიბნა და სანამ სასწრაფოში დარეკვა მოიფიქრეს, სანამ გაოგნებული არასრულწლოვანი ბავშვები მამას სახეზე ეფერებოდნენ, ცოლი კი ემუდარებოდა, არ მოკვდეო, „სპიცმა“ თავისი ქნა და სასწრაფოს ექიმებს ის უკვე გარდაცვლილი დახვდა“, – გვიყვება ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებული მკვლელობის ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავის მკვლელობა არც ახლაა რიგითი დანაშაული და არც მაშინ იყო. შესაბამისად, თათბირი მინისტრის მოადგილემ ჩაატარა და იმის მიუხედავად, რომ უქმე დღე იყო, თბილისის ყველა რაიონის სამძეროს უფროსი ადგილზე გამოცხადდა.

„პირველი და მთავარი – ჯიბგირებმა, სავარაუდოდ, არ იციან, რომ ჩვენი თანამშრომელი მოკლეს. შესაბამისად, არ გაქრებიან და არ დაიმალებიან, 1-2 დღე დაისვენებენ და შემდეგ ისევ საქმეზე გავლენ. ცოლის გარდა, მკვლელების სახეები ერთმა მოწმემაც ვერ გაიხსენა. მეტიც, მოწმეები რეალურად ვერც ვნახეთ, იქ ხალხი სულ მიდი-მოდის და როცა ოპერჯგუფი მივიდა ადგილზე, ფაქტის შემსწრეები ან წასულები იყვნენ, ან აუტკივარი თავის ატკიება არავინ ისურვა. სამწუხაროდ, ცოლი ჯერ შოკშია, ბავშვებიც გადარეულები არიან, თვალწინ მამა მოუკლეს და ფოტო-რობოტის შექმნა არ გამოვა. რამდენიმე დღე უნდა გავიდეს, ქალმა გონება მოიკრიბოს, თუმცა არის იმის საშიშროება, რომ რამდენიმე დღეში, სახეები ვეღარ აღიდგინოს“, – მკაცრად ესაუბრებოდა მინისტრის მოადგილე თანამშრომლებს.

აბსოლუტურად ყველა სამძებროს უფროსს ერთი რამ დაევალა – უნდა აემუშავებინათ აგენტურული ქსელი და გაეგოთ, ვინ იყო მკვლელი. რაც მთავარია, ყველაფერი მანამ უნდა მომხდარიყო, სანამ კრიმინალური სამყარო გაიგებდა, რომ სამართალდამცავი მოკლეს და ეს ამბავი მკვლელების ყურამდეც მიაღწევდა. ისინი არ უნდა დამალულიყვნენ და თავი მშვიდად ეგრძნოთ. ძალოვნები საქმეს შეუდგნენ.

არაერთი მცდელობის მიუხედავად, აგენტურული ქსელის ბოლომდე გაწურვის შემდეგაც კი, არცერთ განყოფილებას ხელჩასაჭიდი არაფერი ჰქონდა. ერთი ეგ იყო, უნივერმაღში, ბოლო სამ დღეში, ხუთმა ადამიანმა დაკარგა საფულე, რაც იმას ნიშნავდა, რომ იქ ვიღაც ან ვიღაცები „მუშაობდნენ“ და დიდი ალბათობით, ეს „ვიღაცები“, სწორედ ის მკვლელები უნდა ყოფილიყვნენ. მაშინ ჯიბგირებს „სამუშაო“ უბნები და ავტობუსის ხაზებიც კი გადანაწილებული ჰქონდათ, ამიტომ ძალოვნებმა „კანონიერ ქურდებს“ მიაკითხეს, თუმცა მათ დაბეჯითებით თქვეს, ჩვენი ხალხი არ არის, ვიღაც ახლები გამოჩდნენ და თქვენს გარეშეც ვეძებთ, ქურდობენ პროფესიონალურ დონეზე და „ობშჩიაკში“ არაფერს იხდიანო.

სამი დღე გავიდა და საქმემ წინ ნაბიჯითაც ვერ წაიწია. ამასობაში, ლამის ყოველმა მეორემ იცოდა, რომ უნივერმაღის წინ, რიგითი მოქალაქე კი არა, მილიციის თანამშრომელი მოკლეს და კრიმინალურ სამყაროს მშვიდი დღეები ნამდვილად არ ელოდა. მეტიც, „კანონიერი ქურდები“ თავად ცდილობდნენ დამნაშავეების პოვნას, რადგან გაცეცხლებული მაძებრები როგორმე დაეწყნარებინათ. მილიცია არ ჩერდებოდა, აკავებდა ყველა საეჭვო პირს, დედაქალაქის მასშტაბით „აკრიფეს“ ლამის ყველა ჯიბგირი. მართალი გამოდგა მინისტრის მოადგილის ვარაუდი, გარდაცვლილის ქვრივმა რამდენიმე დღის შემდეგ მკვლელების სახეები ვეღარ გაიხსენა და ვერც ფოტო-რობოტი შეადგინა. ისე ჩანდა, რომ ძალოვნები საკუთარი კოლეგის მკვლელობის საქმეს ვერ ხსნიდნენ. გაგეცინებათ და, მოსკოვი ყველაფერში მარტივი მიზეზის გამო არ ერეოდა – თანამშრომელი უქმე დღეს მოკლეს, არ იყო მილიციის ფორმაში და მოვალეობის შესრულების დროს არ დაღუპულა. ეს ოფიციალურად, თორემ არაოფიციალურად, ის საკუთარ მოვალეობას ასრულებდა. ცენტრალურ უნივერმაღში, დილიდან საღამომდე, ხუთი ოპერჯგუფი მორიგეობდა, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ კარგად ინიღბებოდნენ, საეჭვო ვერავინ ნახეს. მეტიც, განცხადებებიც შეწყდა ანუ ჯიბგირები უნივერმაღში აღარ მუშაობდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ შესაძლებელი იყო, მკვლელები ვერასოდეს ეპოვათ.

ძალოვნები სიმწრით თმას იგლეჯდნენ, როცა განყოფილებაში გარდაცვლილის ცოლმა დარეკა და გამომძიებელთან საუბარი ისურვა. რაღა თქმა უნდა, გამომძიებელმა მაშინვე მიაკითხა და ქალმა რაც შეიძლება მშვიდად, მაგრამ დაბეჯითებით თქვა – „ზუსტად აღვიდგინე, რომ იმას, ვინც ჩემი ქმარი მოკლა, ტუჩის მარჯვენა კუთხეში ხალი აქვს. საკმაოდ მოზრდილი ხალი და სახეზეც კარგად ეტყობა“.

ეს უკვე რაღაც იყო და სამართალდამცავების ნაწილმა კარტოთეკის ქექვა დაიწყო, ნაწილმა კი უკვე დაკავებულ ჯიბგირებს ჩამოუარა. ხალი არავის ჰქონდა და ასეთი არც კარტოთეკაში იძებნებოდა. ქართულმა მხარემ დახმარებისთვის მოსკოვს მიმართა და სთხოვა, საკავშირო მასშტაბით გადაემოწმებინათ ყველა, ვისაც ჯიბგირობაზე ნასამართლეობა ჰქონდა და განმასხვავებელ ნიშნად ხალი აღენიშნებოდა. მოსკოვმა ოფიციალური თანხმობა კი თქვა, მაგრამ ისიც დააყოლა, ყველაფერმა ამან, შესაძლოა, 3-4 თვე წაიღოსო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბოლომდე თავს არავინ შეიწუხებდა. ქართველი სამართალდამცავები ისევ საკუთარი თავის იმედად დარჩნენ.

„რამდენიმე ვიყავით ისეთი, რომლებსაც მეგობრები სომხეთისა და აზერბაიჯანის ძალოვან უწყებებში გვყავდა. ამიტომ, მათ ვთხოვეთ, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად მოექექათ ჯიბგირების საქმეები და ჩვენთვის საინტერესო პირს თუ აღმოაჩენდნენ, ეცნობებინათ. იმედი არ გვქონდა, მაგრამ ერთ კვირაში აზერბაიჯანიდან დარეკეს, ჯიბგირი, რომელსაც ტუჩის მარჯვენა კუთხეში ხალი აქვს, ძირითადად, ბაქო-თბილისის მატარებელზე მუშაობს, მამა ქართველი ჰყავს, დედა – აზერბაიჯანელი, ამიტომ ორივე რესპუბლიკაში თავშესაფრის მონახვა არ უჭირსო. მალე მისი სურაიც გამოგვიგზავნეს“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სურათი მოკლული თანამშრომლის ცოლს აჩვენეს. როგორც კი მან ფოტოს დახედა, ერთი შეჰკივლა და გული წაუვიდა. ცხადზე ცხადი იყო, მან ქმრის მკვლელი იცნო. ახლა საქმე უკვე სამართალდამცავებზე იყო დამოკიდებული. საქართველოს შს მინისტრის მოადგილე აზერბაიჯანელ კოლეგას შეეხმიანა და უცნაური რამ სთხოვა – მკვლელობაში ეჭვმიტანილ ჯიბგირზე ძებნა გამოაცხადე, ოღონდ, ჯიბგირობის ბრალდებით, მისი სურათი კი ყველა კუთხეში დაკიდეთ, რათა შეშინდეს და საქართველოში ჩამოვიდესო. მისი დაკავება ქართული მილიციისთვის ღირსების საქმე იყო. აზერბაიჯანულმა მხარემ თხოვნა შეასრულა, ბაქო-თბილისის მატარებელზე მორიგე ჯგუფმაც სასურველი ცნობა მოიტანა – ხალიანი ჯიბგირი, „პადელნიკითურთ“, საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა და ვეძისში, ერთ-ერთ სახლში დაბინავდა. მინისტრის მოადგილემ მორიგი თათბირი დაგეგმა და ჯიბგირის აყვანის გეგმა შეიმუშავა.

„როცა თათბირი დასრულდა, მინისტრის მოადგილემ მკაფიოდ თქვა – გული არ დამწყდება, თუ გაქცევას შეეცდება, ან შეიარაღებულ წინააღმდეგობას გასწევსო. ეს მინიშნებაც კი არ იყო, რეალურად, ეს იყო ბრძანება და განყოფილების უფროსებმა ყველაფერი კარგად გაიგეს. მკვლელების ასაყვანად 30-კაციანი ჯგუფი გავიდა“, -გვიყვება ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა სახლს ალყა შემოარტყეს და მკვლელებს დანებება სთხოვეს. მათაც თავპატიჟი არ დაუდიათ, მაშინვე დანებდნენ, თან იმედიანად იყვნენ, რადგან სახლში არც იარაღი იყო, არც – ნარკოტიკები. აკრძალული ნივთებიდან მხოლოდ „სპიცი“ ნახეს...

„ეჭვმიტანილები მშვიდად ჩაგვბარდნენ, მაგრამ ეს, სავარაუდოდ, ერთგვარი ტაქტიკა იყო. სამმართველოსკენ მომავალ გზაზე, თავებით საქარე მინა გატეხეს, მანქანიდან გადახტნენ და გაქცევა სცადეს, რა დროსაც ხელს გააყოლეს მანქანაში, მათთან ერთად მჯდომი მილიციელის იარაღი. ორმხრივი სროლის შედეგად, ორივე ეჭვმიტანილი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული“, – დაახლოებით, ასე ეწერა პატაკში, რომელიც მინისტრის მოადგილეს მაგიდაზე დაუდეს.

შსს-ს აკადემიის ინსტრუქტორებმა აშშ-ში საბაზისო მომზადების კურსი წარმატებით დაასრულეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ინსტრუქტორებმა – ნინო ქარცხიამ და ირაკლი ცაგურიამ აშშ-ის ილინოისის შტატის პოლიციის აკადემიის 14-კვირიანი საბაზისო მომზადების კურსი წარმატებით დაასრულეს.

კურსის დახურვისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე მიწვეული იყო საქართველოს შსს-ს აკადემიის დელეგაცია, რექტორ ივანე პაპიაშვილის ხელმძღვანელობით.

აღნიშნული კურსი საქართველოს შსს-ს აკადემიასა და აშშ-ის ილინოისის შტატის პოლიციის აკადემიას შორის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროსთან (INL) თანამშრომლობის ფარგლებში, პირველად განხორციელდა.

ქართველი ინსტრუქტორები აშშ-ში მიღებულ ცოდნას შსს-ს აკადემიაში არსებული სასწავლო პროცესის მოდერნიზაციისთვის გამოიყენებენ.

კურსის დახურვის ცერემონიის პარალელურად, ვიზიტის ფარგლებში, ქართული დელეგაცია ილინოისის შტატის პოლიციის აკადემიისა და პოლიციის სხვადასხვა დანაყოფის საქმიანობას გაეცნო. მხარეებმა განიხილეს პოლიციელთა განათლების სფეროში სამომავლო თანამშრომლობის საკითხები.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის საგუშაგოებს ეწვია

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძემ, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორთან, ზვიად ხარაზიშვილთან ერთად, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებთან მდებარე განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის საგუშაგოები მოინახულა.

მინისტრის მოადგილემ საგუშაგოებზე არსებული ინფრასტრუქტურა, სამუშაო და საცხოვრებელი სივრცეები, ასევე, ტექნიკა და აღჭურვილობა დაათვალიერა.

იოსებ ჭელიძე ადგილზე მომუშავე განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს შეხვდა, გაესაუბრა და არსებული ვითარების, აგრეთვე, მათი საჭიროებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო.

2023 წლიდან, საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტში 50-მდე სერვისი ჟესტურ ენაზე ხელმისაწვდომი გახდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მიზნით, პირველ ეტაპზე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრში ჟესტური ენით მომსახურება დაინერგა, რაც ყრუ და სმენადაქვეითებული მოქალაქეებისთვის საპატრულო პოლიციის 50-მდე სერვისის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

ერთიანი მომსახურების ცენტრის ინსპექტორები გადამზადდნენ შშმ პირების მომსახურების სპეციფიკასა და ჟესტურ ენაში, აგრეთვე, შეიქმნა შშმ პირთა მომსახურების სტანდარტი, რომლის მეშვეობითაც ხდება მომსახურების გაცემა.

აღსანიშნავია, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობა ადაპტირებულია შშმ პირთა საჭიროებებზე. კერძოდ, ეტლით მოსარგებლე პირებისთვის ფუნქციონირებს ლიფტი, ხოლო მხედველობაშეზღუდული მოქალაქეებისთვის (უსინათლო, მცირედმხედველი) განთავსებულია ტაქტილური ბილიკები, რომელთა გამოყენებითაც აღნიშნული კატეგორიის მოქალაქე ერთიანი მომსახურების ცენტრის სივრცეში ხვდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სატელეფონო მომსახურების ცენტრში დაინერგა ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის ვიდეოზარით მომსახურების მოდელი, რის შედეგადაც ყრუ და სმენადაქვეითებული მოქალაქეებისთვის დისტანციურად ხელმისაწვდომია საპატრულო პოლიციის 50-მდე სერვისი. მომსახურებას გასცემს ერთიანი მომსახურების ცენტრის ინსპექტორი, რომელიც გადამზადებულია და ფლობს ჟესტურ ენას.

ვიდეოზარით მომსახურების მისაღებად ყრუ და სმენადაქვეითებულმა პირმა უნდა მოგვმართოს შემდეგ ნომერზე: +995 577 77 51 91, ხორციელდება მიღებული ზარების ჩაწერა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, ინკლუზიური და თანასწორი გარემოს შექმნით, მუდმივად ზრუნავს შშმ პირების მომსახურების გაუმჯობესებაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მყვინთავ-მაშველებს სპეციალური აღჭურვილობა გადაეცათ

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის მყვინთავ-მაშველებს მყვინთავის უახლესი მოდელის სპეციალური აღჭურვილობა გადაეცათ.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძე და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი, განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს ბაზაზე, სამსახურის მიერ შეძენილი სპეციალური აღჭურვილობა დაათვალიერეს და მის მახასიათებლებს პირადად გაეცნენ.

ღონისძიებას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე როინ ვარშანიძე და სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის უფროსი დავით სუხიშვილი დაესწრნენ.

გასულ წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შეძენილ იქნა 8 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სპეცფორმა და სხვადასხვა სახის აღჭურვილობა. შესაბამისად, სრულიად განახლდა სამთო და მყვინთავი მაშველების სპეციალური აღჭურვილობა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური პირადი შემადგენლობის ახალი აღჭურვილობით, სპეცფორმითა და ავტოტექნიკით მომარაგებას მიმდინარე წელსაც აქტიურად გააგრძელებს.

პერესმა თქვა – ოსიმენი და კვარაცხელია მინდა!

იტალიური „ნაპოლი“ სერია A-ს დამაჯერებლად ლიდერობს და უახლოეს მდევარ „მილანს“ 9 ქულით უსწრებს. გარდა იმისა, რომ ლუჩანო სპალეტის შეგირდები პირველ ადგილზე არიან, ისინი საოცარ ფეხბურთს აჩვენებენ და ძნელად მოიძებნება კლუბი, რომელიც დღეს ასე სანახაობრივად თამაშობდეს. ყველა თანხმდება, რომ „ნაპოლის“ წარმატების მთავარი საიდუმლო ორ ფეხბურთელშია – ვიქტორ ოსიმენმა მხოლოდ იტალიის ჩემპიონატში 12 გოლი გაიტანა და 3 საგოლე გადაცემა შეასრულა, ხოლო ხვიჩა კვარაცხელიას ანგარიშზე, იგივე იტალიის პირველობაზე – 7 გოლი და ამდენივე საგოლე გადაცემაა.

შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ ამ ორ ფეხბურთელს გრანდები აკვირდებიან, მათ შორის, მთავარი – მადრიდის „რეალი“. ოფიციალურად, ნეაპოლური კლუბის პრეზიდენტი, აურელიო დე ლაურენტისი არაფერს ამბობს, მაგრამ მას კონკრეტულად ამ ორ ფეხბურთელზე უკვე არაერთხელ მიმართეს და ისიც იძულებული იყო, ხმა ამოეღო:

„კვარაცხელიას გაყიდვაზე ჯერ არ ვფიქრობთ. რაც შეეხება ოსიმენს, თუ ვინმეს მისი შეძენა უნდა, 140 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს“, – განაცხადა დე ლაურენტისმა.

2020 წელს, ოსიმენი „ნაპოლიმ“ ფრანგული „ლილიდან“ 75 მილიონ ევროდ შეიძინა და ლამის ორმაგ ფასში გაყიდვა, ურიგო ნამდვილად არ იქნება. რაც შეეხება ხვიჩას, 10 მილიონ ევროდ ბათუმის „დინამოდან“ წაყვანილი ქართველის ოფიციალური ფასი 60 მილიონი ევროა, მაგრამ დე ლაურენტისის გარემოცვა ამბობს, რომ ნეაპოლური კლუბი მას 80 მილიონად შეელევა ანუ თუ პერესს ამ დუეტის წაყვანა „რეალში“ სურს, მაშინ 220 მილიონის გადახდა მოუწევს.

„მადრიდულ კლუბს გაახალგაზრდავება ძალიან სჭირდება. ისინი კონკურენციას ვეღარ უწევენ მთავარ მეტოქე „ბარსელონას“ და ამიტომ, პერესი მზად არის, კვარაცხელია-ოსიმენის დუეტის სანაცვლოდ, 220 კი არა, 250 მილიონიც კი გაიმეტოს“, – წერს ესპანური მედია და ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ მომავალი სეზონიდან, „ნაპოლის“ ქართველი ქომაგი „რეალის“ გულშემატკივრობაზე გადაერთოს. და ერთიც – 2021 წელს, კვარაცხელია ტურინის „იუვენტუსს“ 20 მილიონად შესთავაზეს, რაზეც „ბებერმა სინიორამ“ უარი თქვა – ქართველის სანაცვლოდ, 20 მილიონი მეტისმეტად ბევრიაო. ჰოდა, გასულ უქმეებზე, „ნაპოლიმ“ ტურინელებს 5:1 მოუგო და ოთხ გოლში მონაწილეობა პირადად კვარაცხელიამ მიიღო.

კობიაშვილი სფფ-ს პრეზიდენტად დარჩა

4 თებერვალს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 33-ე ყრილობა გაიმართება, რომელზეც ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. კანდიდატურების წარდგენის ვადა ამოიწურა და პრეზიდენტობის სურვილი მხოლოდ მოქმედმა ხელმძღვანელმა, ლევან კობიაშვილმა გამოთვა. მისი განაცხადი სფფ-ის სამდივნოში შევიდა და ადვილი მისახვედრია, რომ მოქმედი პრეზიდენტი თანამდებობაზე 2027 წლამდე დარჩება.

კარგია თუ ცუდი, ეს თავად განსაჯეთ, მაგრამ მაინც გვგონია, რომ ჯანსაღი კონკურენცია არცეთ სფეროს არ ავნებს და ურიგო არ იქნებოდა, კანდიდატი კიდევ ყოფილიყო, თუმცა კონკრეტულად ფეხბურთის ფედერაცია ყოველთვის იყო საჯილდაო ქვა და არასდროს მომხდარა ისე, რომ მის სათავეში ყოფილიყო პიროვნება, რომელიც იმ დროისთვის სახელმწიფოს მმართველ გუნდს არ აწყობდა.

ბაზაძე ისტორიის წერას აგრძელებს

ქართველმა მოფარიკავემ, სანდრო ბაზაძემ ტუნისში გამართული გრან-პრი მოიგო. აღნიშნული ტურნირი რანგით მხოლოდ მსოფლიოს ჩამპიონატსა და ოლიმპიურ თამაშებს ჩამორჩება და პრესტიჟულობით კონტინენტის პირველობას უთანაბრდება. ქართველმა სპორტსმენმა მთელი შეჯიბრი დამაჯერებლად გაიარა და ფინალში ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი, იტალიელი ლუიჯი სამელე 15:8 დაამარცხა.

ცნობისთვის, გრან-პრის ფინალში, ბაზაძე გასული წლის დეკემბერში, ორლეანშიც გავიდა, თუმცა მაშინ უნგრელ ოლიმპიურ ჩემპიონ არონ სილაგისთან წააგო, მანამდე კი გრან-პრიზე ბრინჯაოს ორი მედალი ჰქონდა მოპოვებული და ახლა პირველობა იზეიმა.

ხეცურიანმა აშშ-ში იმარჯვა

პარა-ფარიკაობაში, საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი, ირმა ხეცურიანი გაჩერებას არც წელს აპირებს. ნაახალწლევს, ამერიკის დედაქალაქმა პარა-ფარიკაობაში მსოფლიოს თასს უმასპინძლა. ხეცურიანი ტურნირზე ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა და იმედებიც გაამართლა. მან ხმლით ფარიკაობაში ოქროს მედალი მოიპოვა, რაპირაში კი მხოლოდ ფინალი დათმო და ვერცხლს დასჯერდა.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის დეკემბერში ანუ სულ რაღაც ერთი თვის წინ, ევროპის ჩემპიონატზე ხეცურიანმა ოქროს მედალი მოიპოვა და კონტინენტის უძლიერესის სახელიც დაიგდო.

იტალიაში ფეხბურთელების ძარცვა გრძელდება

ალბათ, გახსოვთ, არც თუ დიდი ხნის წინ, ხვიჩა კვარაცხელიას იტალიური სახლიდან მანქანა რომ მოპარეს. მართალია, სამართალდამცავებმა ავტომობილი მალე იპოვეს, თუმცა სამწუხაროდ, ქართველი ფეხბურთელის თავს გადამხდარი ამბავი არც პირველია და არც ბოლო. განსაკუთრებით, ახალი წლის მიწურულს, ფეხბურთელების სახლების გაქურდვამ იტალიაში იმდენად დიდი მასშტაბები შეიძინა, რომ სამართალდამცავები რეაგირებას ვერ ახერხებენ.

ახლაც, გენუის „სამპდორიას“ ნახევარმცველის, ტომას რინკონის სახლი მაშინ გაქურდეს, როცა ის ვარჯიშზე იმყოფებოდა. ქურდებმა 100 ათასი ევრო ნაღდ ფულად წაიღეს, ამას გარდა კი ხელს ძვირფასი საათების კოლექცია და ტექნიკა გააყოლეს. ფეხბურთელები უკვე ცდილობენ, სახლებში აღარ იცხოვრონ და სასტუმროებში გადავიდნენ, სადაც სათვალთვალო კამერებთან ერთად, 24-საათიანი დაცვაც უზრუნველყოფილია, თუმცა სასტუმროებში მათი განთავსება კლუბებს ძვირი უჯდებათ და ამიტომ, ისინი სამართალდამცავებს აწუხებენ, ეგებ, მეტი ყურადღება გამოიჩინოთო.

SOS! ანტონ ფეიქრიშვილი დახმარებას ითხოვს

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მორაგბის, ანტონ ფეიქრიშვილის წერილს ფრანგული გამოცემა RugbyRama ავრცელებს. წერილს უცვლელად გთავაზობთ და იმედია, კონკრეტული ადამიანები და ანტონის მეგობრები ამ ყველაფერს უყურადღებოდ არ დატოვებენ:

„ვცდილობ, გადმოგცეთ ის ცოდნა, რომელიც 12 წლის განმავლობაში, ტოპ-14-ში, ან კარდიფში, „სელტიკში“ თამაშის დროს დავაგროვე. ახლა შერკინების წევრებს ვავარჯიშებ და ვფიქრობ, რომ ამ საქმეში გარკვეული ცოდნა მაქვს, თუმცა...

შვიდი თვეა, დეპრესია მჭამს. როგორც კი თვალებს ვხუჭავ, თავში გამუდმებით ჩამესმის ხმა: შეხედე საკუთარ თავს, შენ არაფრის მაქნისი არარაობა ხარ... ამ ხმას ვერ ვაჩუმებ, აღარ შემიძლია...

ვიცი, რომ ბევრ მოთამაშეს აწუხებს მსგავსი პრობლემა, მაგრამ ისინი ამაზე საუბარს ვერ ბედავენ. არადა, ადრე თუ გვიან, ამაზე აუცილებლად უნდა ილაპარაკონ. როდესაც პოლ ალო-ემილის ინტერვიუ წავიკითხე, მომინდა ჩავხუტებოდი და მეთქვა – ჩვენ ერთ ნავში ვართ, ჩემო პატარა ძმაო. პროფესიონალურ კლუბში უპირატესობას ყოველთვის თავიანთ ვარჯიშებს ანიჭებენ. მათ ჰყავთ ანალიტიკოსები, ისინი კისერზე GPS-ს გვიკეთებენ, მაგრამ არ გვეხმარებიან მაშინ, როდესაც თავში ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს. კარიერის შემდგომი ცხოვრებისათვის არავინ მამზადებდა, არავის უთქვამს, რომ შესაძლოა, ეს რთული ყოფილიყო. ერთ დღეს, „სტად დე ფრენსზე“ მწვერვალზე ხარ, მეორე დღეს კი აღარაფერს წარმოადგენ...

პროფესიონალი მორაგბის სამყარო ხანდახან ძალიან ძნელია. ჩვენ რობოტებივით გვექცევიან. გასახდელში ძალადობენ, როდესაც მწვრთნელი გეუბნება, რომ შენ უსუსური ხარ, რადგან ბოჭვა ვერ შეასრულე, ყველაფერი შენ გბრალდება. ბევრჯერ მქონია უძილო ღამე მწვრთნელის კრიტიკის შემდეგ, რომელიც ფიქრობდა, რომ ცუდი მოთამაშე ვიყავი, რადგან სამი კილომეტრი ვერ ვირბინე. გეფიცებით, მინახავს მატჩის შემდეგ ატირებული მოთამაშეები, მაგრამ თუ ამაზე ისაუბრებ, მაშინ სუსტი ხარ...

ჭამის წინ, რაღაც აბებს გვაძლევდნენ, თუმცა აზრადაც არავის მოგვდიოდა გაგვეგო, ამას რატომ აკეთებდნენ, ან რას შეიცავდა ის აბები. მათ რამე სარგებლობა მოჰქონდათ? არ ვიცი... ალბათ, არც მინდა ვიცოდე. უბრალოდ, მინდა ვინმე დამეხმაროს, რადგან უარესის თავიდან აცილება მსურს... არ მინდა, ჩემი პატარა გოგონა მარტო გაიზარდოს“...

იმედია, ფეიქრიშვილის მეგობრები, განსაკუთრებით, ბოლო წინადადებას ყურადღებით წაიკითხავენ. შეგახსენებთ, რომ ანტონს საქართველოს ნაკრებში 27 მატჩი აქვს ჩატარებული, საკლუბო კარიერის დიდი ნაწილი კი ფრანგულ „კასტრსა“ და „ბრივში“ გაატარა.

„სხვებს ნუ შეეჯიბრებით, გააკეთეთ არჩევანი ბარებში 500 ლარად სიმღერასა და ექსკლუზიურ შემოქმედებას შორის!“

ლიკა თორთლაძე

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, მუსიკალური პროექტის – „ვოისი“ პირველი „ლაივ-შოუ“ მაყურებელმა 12 იანვარს იხილა. „ვოისის“ რიგით მეორე „ლაივ-შოუ“ კი 19 იანვარს გაიმართება და ჟიურის წინაშე დათო ფორჩხიძისა და დათო ევგენიძის გუნდის წევრები წარსდგებიან. ამ სეზონზე მეგაშოუ „ვოისის“ ქართული ანალოგის გამარჯვებული ევროპაში, ყველაზე დიდი მუსიკალური კონკურსის – „ევროვიზია 2023“-ის საგზურს მოიპოვებს. როგორია მწვრთნელების განცდები და რას ნიშნავს ეს პროექტი მათთვის? – „ვერსია“ „ვოისის“ ერთ-ერთ მწვრთნელ დათო ფორჩხიძეს ესაუბრა:

– „ვოისში“ ყოფნა ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობა და გამოწვევაა. აქ ახალგაზრდა, ნიჭიერ ბავშვებს ვეცნობი, ვარ იქ, სადაც მთელი ცხოვრება ვიყავი და ვაკეთებ იმ საქმეს, რომელიც ძალიან მიყვარს. სწორედ ესაა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. მიუხედავად იმისა, რომ ვფიქრობ, უმადური საქმეა, საბოლოოდ, მაინც კარგ რამეს ვემსახურები და ჩემთვის უმთავრესია, მომავალ თაობას გადავცე ის ცოდნა, რაც ცხოვრების განმავლობაში დავაგროვე. ვფიქრობ, ბევრ ადამიანს გამოვადექი და სამომავლოდაც შევეცდები, გამოვადგე... მინდა, რთული მომენტები გავუმარტივო და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დავეხმარო. ვფიქრობ, ისინი ჩემგან ყველაფერ ამას ისწავლიან და სამომავლოდ, შედარებით სწორ ნაბიჯებს გადადგამენ.

– რამდენად რთულია გადაწყვეტილებების მიღება?

– ახალგაზრდა დამწყები მომღერლები, პროექტში წარუმატებლობის შემთხვევაში ფიქრობენ, რომ მათი ცხოვრება აქ მთავრდება და თუ ახლა არ გაუმართლათ, წარმატების მიღწევის შანსი აღარ ექნებათ. ისინი საკმაოდ ემოციურად და ტრაგიკულად აღიქვამენ ნებისმიერ გარემოებას, რომელიც მათ სასარგებლოდ არაა. ამასთან, ბავშვები, რომლებიც ამ პროექტში მონაწილეობენ, ჩემი შვილის ასაკისანი არიან და კარგად მესმის, რას ფიქრობენ და რამდენად დარდობენ ყველაფერზე. როგორც უნდა აუხსნა, რომ ეს მხოლოდ კონკურსია და ერთ-ერთი საფეხური, რომლის გავლის შემდეგ არ უნდა გაჩერდნენ და აუცილებლად მიაღწევენ წარმატებას, მაინც გარკვეული პერიოდი მწვავედ განიცდიან. მხოლოდ მომდევნო ეპიზოდში გადასვლა არ ნიშნავს, რომ თითოეული მათგანი უიტნი ჰიუსტონი გახდება. ასეთი წარმატების მისაღწევად შრომაა საჭირო.

ჩვენი საზოგადოება ძალიან სენსიტიურად აღიქვამს ყველაფერს. კონკურსანტების ოჯახის წევრების უმეტესობა მუსიკაში ვერ ერკვევა, არ არიან პროფესიონალები და შესაბამისად, სუბიექტურად აფასებენ, შენ კი ყველას მოსაწონ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებ. როდესაც საზოგადოება საკმარისად არ გენდობა, რისხვის ობიექტი ხდები. ყველაზე მეტად ბავშვების განცდებზე ვდარდობ. აქედან გამომდინარე, ძალიან რთულია გადაწყვეტილებების მიღება. საზოგადოებას მიაჩნია, რომ ყველაფერს ვიღაცა გვკარნახობს და წინასწარაა გაწერილი, თუმცა ასე ნამდვილად არაა. ხშირად, რაც უფრო ობიექტური და სამართლიანია გადაწყვეტილება, მით უფრო უცნაურია ყველასთვის.

– ბრმა „ქასთინგზე“, კონკურსანტის მოსმენის დროს, რა არის გადამწყვეტი და ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენთვის?

– „ვოისთან“ დაკავშირებით, ბევრი მითი არსებობს და საერთოდ, მითების გარეშე, არაფერი ხდება. ეს შოუ ჰოლანდიელებმა შექმნეს და როგორც ვიცი, „ვოისი“ არაფრით იყო საინტერესო. შოუ დაიწყო ისე, რომ ბრმა „ქასთინგი“ არ არსებობდა, ჟიური მომღერალს თავიდანვე ხედავდა და ადრე ასეთი მოსაზრება იყო, რომ კონკურსანტის ვიზუალური მხარე დიდ როლს თამაშობდა ღილაკის დასაჭერად. ერთ-ერთი მონაწილის სურვილი იყო , ჟიურის ვერ დაენახა, ვინ მღეროდა და ისე შეერჩიათ, სწორედ ამის შემდეგ გახდა ეს პროექტი ის, რაც ახლაა. რამდენად სიმართლეა, ამას ვერ დაგიდასტურებთ, მაგრამ ჩემს შემთხვევაში, ბრმა „ქასთინგზე“, მხოლოდ კარგი ნამღერი, კარგი ტემბრი და სუფთა ბგერები მატრიალებს. ბევრი ამბობს, რომ ცუდი ნამღერის მიუხედავად, სხვა ფაქტორები ატრიალებს მონაწილისკენ. ჩემთვის მუსიკა არ არის მათემატიკური ფორმულა, სწორედ ის ბგერები და სიხშირეები მაბრუნებს, რაც ჩემს სხეულში შემოდის.

– მარტივია თუ არა ახალგაზრდა მუსიკოსებისთვის რეპერტუარის შერჩევა?

– როდესაც პირველად იღებ ასეთ პროექტში მონაწილეობას, ძალიან მარტივია, გამომდინარე იქიდან, რომ სიმღერების დიდი არჩევანია, მაგრამ როდესაც მეხუთედ მონაწილეობ, გაცილებით რთულია რეპერტუარის შერჩევა, რადგან დღეს უკვე ნაკლებად იწერება ისეთი სიმღერები, რომლებიც საკონკურსო რეჟიმში მომგებიანი იქნება. ძალიან ბევრი სიმღერა გამიკეთებია „ვოისში“ და რა რეპერტუარიც ადრე შევურჩიე მონაწილეებს, დღეს ვეღარ გავიმეორებ.

– თქვენი მწვრთნელობის პერიოდში, ყოველი სეზონი თქვენი მოგებით დასრულდა, ახლაც ფიქრობთ, გაიმარჯვებთ?

– ეს პროექტი არასდროს მომიგია, ყოველთვის კონკურსანტი იყო მოგებული და თუ ჩემი კონკურსანტი ახლაც მოიგებს, ისევ ვიტყვი, რომ შოუ კონკურსანტმა მოიგო. სხვა შემთხვევაშიც, ჩემს თავს წაგებულად არ ჩავთვლი. იმ „ვოისმა“, რომელშიც ათი წლის წინ პირველად გამოვედი, შეიძლება ითქვას, რომ გამომაცოცხლა, მაგრამ ახლანდელი „ვოისი“ ჩემთვის იგივეს არ აკეთებს, მას შემდეგ სტაბილურად, ერთი ხაზით მივდივარ და სატელევიზიო სივრცეში ჩემი საკონცერტო მოღვაწეობით მეტ-ნაკლებად ვჩანვარ. მაშინაც თავისუფლად შეიძლებოდა, რომ არ მოეგო ჩემს გუნდის წევრს, თუმცა ის „ვოისი“ მაინც იგივეს გააკეთებდა ჩემთვის. დღევანდელ შოუში ვინც უნდა გაიმარჯოს, არ მგონია, რომ ჩემთვის რამე შეიცვლება და ჩემი კონკურსანტის მოგების შემთხვევაშიც, არ ვფიქრობ, რომ შეიძლება ცაში ავფრინდე. ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ჩემთვის მთავარი ისაა, რომ ახალგაზრდა, ნიჭიერი ბავშვები გავიცანი, ჩემი გუნდის წევრები შევიყვარე, სხვისი გუნდის წევრები მომწონს და ყველას მხრიდან პატივისცემას ვგრძნობ. ისინი თვლიან, რომ რაღაც მესმის და შემიძლია, მათ რამეში გამოვადგე.

– დათო, პირველ „ლაივზე“, სოფო ბათილაშვილმა დატოვა პროექტი, რამაც სოციალურ ქსელში დიდი აღშფოთება გამოიწვია, თავად მენტორისთვისაც ძალიან რთული იყო ამ გადაწყვეტილების მიღება. რას ფიქრობთ, სოფოს მიერ პროექტის დატოვებაზე და ჰქონდა თუ არა მოგების შანსი?

– ვერ ვიტყვი დანამდვილებით, რომ ჩემთან გაიმარჯვებდა. ძალიან მომწონს სოფო, როგორც მომღერალი, ვფიქრობ, რომ ძალიან ნიჭიერია. მისთვის ამით არაფერი დასრულებულა და მალევე მიხვდება, რომ მისი ადგილი სცენაზეა და გააგრძელებს ამ საქმეს. იმისთვის დაისაჯა, რომ როდესღაც, რაღაც მოიგო. როდესაც პროფესიონალი და ნიჭიერი ადამიანები ეჯიბრებიან ერთმანეთს, პატარა დეტალებშია განსხვავება. ხალხმა, სამწუხაროდ, ასე გადაწყვიტა. შეიძლება, ჩემი მხრიდან ცუდი სათქმელია, მაგრამ საბედნიეროდ, მე არ მომიწია ამ ურთულესი გადაწყვეტილების წინაშე დადგომა. ორივე სოფოს ვუთანაგრძნობ და ცხადია, ამ შოუთი არაფერი მთავრდება. ჩემთვის სოფო ბათილაშვილი ძალიან ძლიერი მომღერალია და დიდი სიამოვნებით მოვუსმენ მომავალში.

– რა პერსპექტივა აქვთ „ვოისისა“ და მსგავსი პროექტების მონაწილეებს საქართველოში, შოუს დასრულების შემდეგ? ამ სეზონზე გამარჯვებული „ევროვიზიაზე“ წარადგენს საქართველოს, მაგრამ რა უნდა ქნან დანარჩენებმა, წარმატებულად რომ გააგრძელონ საქმე?

– „ევროვიზიაზე“ ძალიან ბევრ ისეთ არტისტს უმღერია, რომელიც დღეს ერთ კონცერტსაც არ მართავს ანუ „ევროვიზია“, შესაძლოა, სულაც არ აღმოჩნდეს ბევრისთვის დიდი წარმატების საწინდარი. ახალგაზრდა მომღერლებმა უნდა იცოდნენ, რომ მოთხოვნადი მომღერლები მხოლოდ საავტორო სიმღერების შექმნით გახდებიან და როდესაც გარკვეული დროის შემდეგ, კვლავ დაბრუნება მოუნდებათ, სწორედ იმ სიმღერებით დაბრუნდებიან, რომლებიც თავად შექმნეს. საქართველოში არიან ისეთი ბენდებიც, რომლებმაც წარმატებას სხვისი დაწერილი სიმღერებით მიაღწიეს, თუმცა ჩემი რჩევაა, სხვებს ნუ შეეჯიბრებიან. უნდა გააკეთონ არჩევანი ბარებში 500 ლარად სიმღერასა და ექსკლუზიურ შემოქმედებას შორის. ვინმე მეტყვის, რომ ეს ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, თუმცა სხვაგვარად არ გამოდის. ძალიან ბევრ შემსრულებელს, მისდა სამწუხაროდ, მიაჩნია, რომ მისი ნიჭი ყველაზე მნიშვნელოვანია, რათა იყოს მოთხოვნადი, რეალიზებული და ხალხმა შეიყვაროს, თუმცა ასე არ არის. მიმაჩნია, რომ არსებობენ ჩემზე ნიჭიერებიც, რომლებსაც ბევრად დიდი მონაცემები აქვთ, მაგრამ ჩემზე მშრომელი ამ სფეროში, არ მეგულება. რა თქმა უნდა, მარტო შრომაც არ არის საკმარისი, აქ ყველაფერი ერთადაა მნიშვნელოვანი.

ექვსი წლის განმავლობაში ისე ვწერდი სიმღერებს, ფინანსური ანაზღაურება საერთოდ არ მქონდა. მახსოვს, მამაჩემი დარწმუნებული იყო, ამ შრომას ჰაერში ვყრიდი. ორი დღით ადრე, ვიდრე ჩემი პირველი ყველაზე ცნობილი და პოპულარული სიმღერა გამოვიდოდა, მე და მამას საუბარი გვქონდა, რომ უკვე დრო იყო, ამ საქმისთვის თავი დამენებებინა. ორ დღეში კი, საქმე სულ სხვაგვარად წავიდა... საქართველოში არაპროგნოზირებადი გახდა ამ სფეროში წარმატების მიღწევა, ვინაიდან დღეს ყველაზე უმართავი პუბლიკა ჩვენთანაა, უცხოეთში კი პუბლიკას ეფექტიანად აკონტროლებენ.

დარიჩინიანი ყავა მადას არეგულირებს

უცხოელი დიეტოლოგები გვირჩევენ, შაქრის ნაცვლად, ყავაში დარიჩინი გამოვიყენოთ. ამ შემთხვევაში, ეს სანელებელი არა მხოლოდ სასიამოვნო გემოს მიანიჭებს სასმელს დამატებითი კალორიების გარეშე, არამედ ფორმის შენარჩუნებაშიც დაგვეხმარება. სპეციალისტების თქმით, დარიჩინი ხელს უწყობს მადის დარეგულირებას, რადგან სისხლში შაქრის დონეს აკონტროლებს. სწავლულების განცხადებით, ყავაში მწიკვი დარიჩინის დამატება, დღის განმავლობაში, თავიდან აგარიდებთ ზედმეტად წახემსებას და შედეგად, წონაში მატებასაც. ცნობილია, რომ დარიჩინი დიდი რაოდენობით ანტიოქსიდანტებს შეიცავს, რაც იმუნური სისტემის მუშაობაზე პოზიტიურ გავლენას ახდენს. გარდა ამისა, სანელებელი შეიცავს ნაერთებსაც, რომლებიც ხელს უშლიან სისხლის უჯრედების შეწებებას და თრომბების ჩამოყალიბებას.

ექიმების გაურკვეველ ხელნაწერს „გადათარგმნიან“



კომპანია Google-მა გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრას ექიმების ცუდი ხელწერის პრობლემა და მათი გაკრული ხელით ნაწერი „გადაგვითარგმნოს“. კომპანიამ ყოველწლიურ კონფერენციაზე განაცხადა, რომ ახალი ფუნქცია Google Lens-ის ნაწილი იქნება, რომელიც ამ მომენტისთვის საძიებო სისტემაშია ჩატვირთული. პაციენტს შეუძლია ფოტო გადაუღოს ექიმის მიერ დაწერილ რეცეპტს, ხელოვნური ინტელექტი კი თავად „გაარჩევს“, რა წამლებია გამოწერილი. ასეთი მთარგმნელის რეალიზაციისთვის კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობდა ფარმაცევტებთან მთელი მსოფლიოდან. ჯერჯერობით, ეს ფუნქცია მხოლოდ ჰინდის ენაზე მუშაობს, რადგან სწორედ ინდოეთში ცხოვრობს Google Lens-ის ყველაზე მეტი მომხმარებელი. თუმცა, კომპანია გეგმავს, გააფართოვოს მთარგმნელის გეოგრაფია და მას ინგლისური და სხვა ევროპული ენები დაუმატოს.

შუბლზე „რქები“ ამოუვიდა

სილამაზე რომ მსხვერპლს მოითხოვს, ყველამ ვიცით, თუმცა ზოგჯერ, ეს მსხვერპლი ძალიან დიდი და არაადეკვატურია. ასე დაემართა ავსტრალიელ ქალს, რომელმაც სახის კანის დაჭიმვის კოსმეტიკური პროცედურა ჩაიტარა. ასეთ შედეგს ის ნამდვილად არ ელოდა. მან გაახალგაზრდავების პოპულარული პროცედურა, ეგრეთ წოდებული, Fox Eye ჩაიტარა, რომლის დროსაც, წარბები და თვალის გარე კუთხეები ზემოთ იჭიმება, ხსნადი ძაფების საშუალებით და „მელიის თვალის“ ეფექტი იქმნება. ეს პროცედურა საკმაოდ მარტივია და არ სჭირდება ქირურგიული ჩარევა – ადგილობრივი ანესთეზიით, სპეციალისტს კანქვეშ, შპრიცით პოლიდიოქსანონი შეჰყავს. როგორც ჩანს, ამ ავსტრალიელს არ გაუმართლა, რადგან პროცესი ასე მარტივად არ განვითარდა: კოსმეტიკური პროცედურიდან ცოტა ხნის შემდეგ, მისი წარბები ისევ დაეშვა ადრინდელ დონეზე, საფეთქლებთან კი კოპები გამოუვიდა, რომლებიც რქებს წაგავს. ცხოვრებაში ამაზე მეტად არაფერი მინანია – განაცხადა სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ვიდეოში, დაზარალებულმა ქალმა.

მსოფლიოში ყველაზე დაბალი ადამიანი ირანელია

20 წლის ირანელი მამაკაცი, აფშინ ესმაილ გადერზადე მსოფლიოში ყველაზე დაბალ ადამიანად აღიარეს და ის გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდა. მისი სიმაღლე სულ რაღაც 0.64 სანტიმეტრს შეადგენს. აფშინის მშობლები აღნიშნავენ, რომ დაბადებისას, ის მხოლოდ 600 გრამს იწონიდა, თუმცა ექიმების ნეგატიური პროგნოზების მიუხედავად, ბიჭი გადარჩა. ახლა უკვე ახალგაზრდა მამაკაცი აღიარებს, რომ ამ განსაკუთრებულობის გამო, საერთოდ არ აწუხებს კომპლექსები. მხოლოდ წუხს, რომ ამ ნაკლის გამო, მას სამუშაოს შოვნა ძალიან უჭირს, თუმცა იმედოვნებს, რომ მისი პოპულარობა ოჯახს ფინანსურადაც წაადგება.

მფრინავი ავტოს წარმოებას იწყებენ

ჩინური სტარტაპი მზადაა, 2025 წლისთვის მფრინავი ავტომობილის – Aero HT სერიული წარმოება დაიწყოს. მომავლის სატრანსპორტო საშუალება, დაახლოებით, 140 ათასი დოლარი ეღირება. აერომობილს ჰაერში, ათობით მეტრზე შეუძლია ასვლა, რაშიც მას ოთხი ენერგოძრავა ეხმარება. დროის დიდ ნაწილს ელექტრომობილი მიწაზე გაატარებს და მხოლოდ მაშინ აფრინდება, როცა რამე წინაღობა შეხვდება, ან საცობში მოხვდება. სტარტაპის დამფუძნებლის, ჩჟაო დელის თქმით, მისი კომპანიის მთავარი პრობლემა გზებზე მანქანების ტექნოლოგიური საკითხები კი არა, მარეგულირებლების მხრიდან შეზღუდვებია. ასეთი ავტოს მფლობელს დასჭირდება, როგორც ავტომანქანის მართვის მოწმობა, ასევე – მფრინავის ლიცენზიაც.

ტელეარხი ოთხფეხა მეგობრებისთვის

გაერთიანებულ სამეფოში, სპეციალურად ძაღლებისთვის, ტელეარხი ამოქმედდა. მისი მიზანია, შინაურ ცხოველებს მარტოობის დაძლევაში დაეხმაროს, ვიდრე მათი პატრონები სამსახურებიდან დაბრუნდებიან. ტელეარხის ეთერში გადის პროგრამები, რომლებიც ზოოფსიქოლოგების მიერაა შემუშავებული. ექსპერტების თქმით, ეს ტრანსლაციები ცხოველებს შფოთვისგან იხსნის. ახალ არხზე ძაღლებზე მულტფილმებს არ აჩვენებენ, თუმცა ანიმაცია არის, რომელიც ცხოველის ყურადღებას ანვითარებს, ასევე, თვალისა და კისრის კუნთებს ავარჯიშებს.

თამბაქოს კომპანიებს დასუფთავებისთვის გადაახდევინებენ

ესპანეთში, თამბაქოს კომპანიებს დაავალდებულებენ, მილიონობით ნამწვის დასუფთავებისთვის, ყოველწლიურად, გარკვეული თანხა გაიღონ. ეს დადგენილება იმ ღონისძიებების პაკეტის ნაწილია, რაც ნარჩენების შემცირებას ეხება. სიგარეტის ნამწვი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნარჩენია და მისი გახრწნისთვის, დაახლოებით, 10 წელია საჭირო. ამასთან, გამოიყოფა ტოქსიკური ნივთიერებები, როგორებიცაა დარიშხანი და ტყვია. ნამწვი მსოფლიო ოკეანეს უფრო მეტად ანაგვიანებს, ვიდრე პლასტმასის პარკები და ბოთლები. ყოველწლიურად, წყალში 5 მილიარდზე მეტი სიგარეტის ნამწვი იყრება. კატალონიელთა კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნამწვის დასუფთავებაზე, ერთ ადამიანზე წელიწადში, 12-დან 21 ევრომდე იხარჯება, მთლიანობაში კი ეს რიცხვი მილიარდ ევრომდე ადის. სტატისტიკის მიხედვით, ესპანეთში მოსახლეობის 22% მწეველია.

ევროპას კიბოს ეპიდემია ემუქრება

ცნობილი ჟურნალი წერს, რომ სწავლულებმა სიმსივნის შესწავლის კომისიიდან, მომდევნო ათი წლის განმავლობაში, ევროპაში კიბოს ეპიდემია იწინასწარმეტყველეს, თუკი შესაბამისი ზომები არ იქნება მიღებული. კომისიამ გააანალიზა მონაცემები, რა გავლენა მოახდინა პანდემიამ „ბებერ კონტინენტზე“. ბოლო ორი წლის განმავლობაში, მედიკოსთა ყურადღება მთლიანად გადატანილი იყო კორონავირუსზე, ამის გამო, პანდემიის პირველ წელს, სპეციალისტთა აზრით, სიმსივნით დაავადებულ 1.5 მილიონამდე პაციენტს ონკოლოგიური სამედიცინო კონტროლი მოაკლდა, ხოლო ყოველ მეორე პაციენტს – დროული ოპერაცია ან ქიმიოთერაპიის კურსი არ ჩაუტარებია. მკვლევართა მონაცემებით, ამ პერიოდში, გამოტოვებულ იქნა 100 მილიონი სკრინინგ-ტესტი და ევროპის მილიონამდე მოქალაქეს, შესაძლოა, ჯერ დაუდგენელი ონკოლოგიური დაავადება სჭირდეს. ევროკომისია 2030 წლისთვის, კიბოს კვლევისთვის, ბიუჯეტის გაორმაგებას ითხოვს – 50 ევრომდე, ერთ სულ მოსახლეზე.

საბანკო ბარათი ვარჯიშისთვის დაგაჯილდოვებთ

ამერიკულმა გამაჯანსაღებელმა კომპანიამ – Paceline, უჩვეულო საბანკო ბარათი – Visa Signature Paceline გამოუშვა, რომელიც მის მფლობელებს ფიზიკური აქტივობისთვის დაასაჩუქრებს. მაგალითად, თუკი საბაზო „ქეშბექი“ ბარათზე 1.5%-ს შეადგენს, მისი გაორმაგება შესაძლებელი იქნება კვირაში 150-საათიანი ვარჯიშებით. ვარჯიშის ინტენსივობა მიმაგრებულია კლიენტის ანგარიშზე, სპეციალური აპლიკაციისა და სმარტ-საათების საშუალებით, რომელსაც ადამიანის ფიზიკური დატვირთვის რეგისტრირება შეუძლია. კომპანია Visa Signature Paceline-ის კლიენტებისთვის არ აწესებს შეზღუდვას ვარჯიშების სახეობებში. საკმარისია, რომ მომხმარებელს კვირაში, არანაკლებ, 150 საათის განმავლობაში, პულსი გახშირებული ჰქონდეს.

ორი ჭიქა ღვინო – შაქრის დღიური დოზა

ბრიტანელმა მკვლევარებმა Alcohol Health Alliance-დან დაადგინეს, რომ შაქრის მაქსიმალური, დღიური დოზის მისაღებად საკმარისია, ადამიანმა დღეში მხოლოდ ორი ჭიქა ღვინო მიირთვას. დამოუკიდებელი ლაბორატორიის სპეციალისტებმა, ნისლიან ალბიონზე, ცნობილი ბრენდების წითელი, თეთრი, ვარდისფერი და ცქრიალა ღვინოები შეისწავლეს. დადგინდა, რომ ზოგიერთი სახეობის ერთი ბოთლი სასმელი 60 გრამამდე შაქარს შეიცავს, რაც ერთ მინანქრიან დონატში შაქრის შემცველობასაც კი აღემატება. ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის რეკომენდაციით, ზრდასრულმა ადამიანმა დღეში, მაქსიმუმ, 30 გრამი შაქარი შეიძლება მიიღოს. ასე რომ, დღიური ლიმიტის მისაღწევად, საკმარისია, ადამიანმა ორი ჭიქა ღვინო მიირთვას.

რას უნდა ველოდოთ 2023 წელს

პოპულარულმა გაზეთმა – Financial Times, ახალი წლის თაობაზე, საინტერესო პროგნოზები გამოაქვეყნა. მაშ ასე, რას უნდა ველოდოთ 2023 წელს? ბრიტანული ბიზნეს-გამოცემის თანახმად, ომი უკრაინაში კვლავ მთელი წელი გაგრძელდება, რადგან კიევი და მოსკოვი ვერ შეძლებენ შეთანხმებას კონფლიქტის გაყინვის თაობაზე;

აპრილამდე ევროპას, შესაძლოა, დროდადრო, ელექტროენერგიის გათიშვა დასჭირდეს, თუკი ცივი ამინდები იქნება. მიწისქვეშა გაზსაცავების შევსება გაზაფხულზე გაძნელდება;

წლის ბოლოსთვის, გლობალური დათბობის მაჩვენებელი არ გადააჭარბებს 1.5 გრადუსს, თუმცა ეს შეიძლება წლის განმავლობაშიც მოხდეს;

რიში სუნაკი დარჩება დიდი ბრიტანეთის პრემიერის პოსტზე. მისთვის ეს უფრო ადვილი იქნება, ვიდრე მისი წინამორბედების – ბორის ჯონსონისა და ლიზ ტრასისთვის, მაგრამ მასზე ზეწოლა მოიმატებს;

ევროპის ცენტრალური ბანკი არ დაუჭერს მხარს იტალიისა და ევროკავშირის სხვა ქვეყნების ობლიგაციების ბაზარს;

ჯო ბაიდენი კვლავ იყრის კენჭს აშშ-ს პრეზიდენტის პოსტზე. გამოცემა მას შესაძლო საუკეთესო კანდიდატად ასახელებს დემოკრატებს შორის, თუკი სურთ, „თეთრი სახლის შენარჩუნება“;

დონალდ ტრამპს, დიდი ალბათობით, ახალ ბრალდებებს წაუყენებენ კაპიტოლიუმზე შტურმისა და საიდუმლო დოკუმენტების საქმეებზე;

ჩინეთი შეძლებს ეკონომიკური ზრდის აღდგენას 5%-ზე ზემოთ;

პეკინი არ დაესხმება თავს ტაივანს და არც კუნძულის ბლოკირებას მოახდენს;

ერდოღანი, ივნისის არჩევნებში, თურქეთის პრეზიდენტის პოსტს შეინარჩუნებს.

პოპულარული გამოცემა აღნიშნავს, რომ 2022 წლის შედეგების მიხედვით, მისი ავტორების მხოლოდ ხუთი პროგნოზი არ ახდა, მათ შორის, უკრაინაში ომის თავიდან აცილების შესაძლებლობა და Tesla-ს აქციების ვარდნა.

ნაგავზე მომუშავე ავტომობილი შექმნეს

იტალიური ფირმა Bertone-ის ინჟინრებმა ჰიპერკარი წარადგინეს, რომელიც ნაგავზე მუშაობს. ავტომობილისთვის საწვავი პლასტმასის ნარჩენებისგან მზადდება. მანქანას შეუძლია, სიჩქარე 380 კმ/სთ-მდე განავითაროს. ახალ Bertone GB110-ში გამოიყენება პლასტმასის ნაგვის თხევად საწვავად გარდაქმნის დაპატენტებული მეთოდი. კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ახალი ავტომობილი ხელოვნების ნიმუშის მაგვარია, რომელიც იტანს ზოგიერთ მოდიფიკაციას, მფლობელის უნიკალური გემოვნების შესაბამისად. დასაწყისისთვის, ფირმა 33 ასეთი მანქანის გამოშვებას გეგმავს – მყიდველი მას 2024 წლის გაზაფხულისთვის მიიღებს, თუმცა, ჯერჯერობით, ფასი უცნობია.

სასამართლოს საშუალებით, მოწყენილობის უფლება მოიპოვა

პარიზელმა მამაკაცმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, სასამართლოს საშუალებით, მოიპოვა უფლება, სამსახურში მოწყენილი იყოს. სამუშაოდან მამაკაცი სწორედ ამის გამო დაითხოვეს და დაუმატეს, რომ მასთან მძიმეა ურთიერთობა. ახლა კი, კომპანია ვალდებულია, ყოფილ თანამშრომელს, კომპენსაციის სახით, დაახლოებით, 2.9 ათასი ევრო გადაუხადოს. მამაკაცი კონსალტინგურ კომპანია Cubik Partners-ში მუშაობდა. სამსახურში ასეთი ტრადიცია აქვთ – ყოველ პარასკევს, ბარში წვეულებებს აწყობენ და ალკოჰოლს უზომო რაოდენობით იღებენ. მამაკაცს არ სურდა კოლეგებთან ერთად დალევა, რის გამოც სამსახურიდან გაათავისუფლეს. სასამართლომ დაადგინა, რომ თანამშრომელს აქვს უფლება, არ მიიღოს მონაწილეობა კორპორატიულ საღამოებსა და წვეულებებში, რადგან ეს მისი გამოხატვის თავისუფლებაა.

ყველი ქოლესტერინს არეგულირებს

ჯანმრთელობის ამერიკული აკადემიის სპეციალისტები აცხადებენ, რომ ყველს ადამიანის ორგანიზმისთვის საკმაოდ ბევრი სასარგებლო თვისება აქვს. მათი მონაცემებით, ეს პროდუქტი საშუალებას იძლევა, სისხლში ქოლესტერინის დონე ვაკონტროლოთ. გარდა ამისა, ყველი დიდი რაოდენობით სასარგებლო ცხიმებს შეიცავს. სწავლულებმა რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარეს იმის გასარკვევად, როგორ მოქმედებს ყველის მოხმარება ორგანიზმზე. კვლევაში, დაახლოებით, 150 მოხალისე მონაწილეობდა. მათ ნახევარს ყოვლდღიურად, 100 გრამ ამ პროდუქტს აძლევდნენ, მეორე ჯგუფს კი ორი თვის განმავლობაში საერთოდ აუკრძალეს რძის ნაწარმი. აღმოჩნდა, რომ ის მოხალისეები, რომლებიც ყველს მიირთმევდნენ, გაცილებით უფრო მხნედ და უკეთ გრძნობდნენ თავს და სისხლში ქოლესტერინის მაჩვენებელიც მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდათ.

საშიშ ნივთიერებებს თმით ებვრძვიან

ბელგიაში, პროექტი Hair Recycle ამოქმედდა, რომლის ფარგლებშიც, ადამიანის თმისგან პატარა ხალიჩებს აკეთებენ. ეს ხალიჩები ნავთობსა და სხვა საშიშ ნივთიერებებს შთანთქავენ. მთელი ქვეყნის მასშტაბით, პარიკმახერები კლიენტების თმებს აგროვებენ და გადასამუშავებლად აბარებენ. პროექტის ავტორები აცხადებენ, რომ ერთი კილოგრამ თმას 8 ლიტრამდე ნავთობისა და ნახშირწყალბადების შთანთქმა შეუძლია. მზა ხალიჩების მოთავსება შესაძლებელია, მაგალითად, კანალიზაციაში, რათა მავნე ნივთიერებებმა წყალი არ დააბინძურონ.

„ჭკვიანი“ შპრიცი შექმნეს



ახალი შპრიცი, რომელიც ამერიკელმა სპეციალისტებმა შექმნეს, ჰარვარდის სამედიცინო სკოლიდან, დელიკატურ ამოცანას დამოუკიდებლად უმკლავდება. ის თავად განსაზღვრავს ინექციის სიღრმეს და წამალი ქსოვილის საჭირო ფენაში შეჰყავს. „ჩვეულებრივი შპრიცის გამოყენება და ინექციისთვის საჭირო ადგილის განსაზღვრა საკმაოდ რთული პროცესია და მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს. ჩვენი სიახლე კი უფრო ზუსტია და გამოსაყენებლად ძალიან მარტივი“, – აცხადებენ სპეციალისტები, რომლებმაც ახალ შპრიცს I2T2 უწოდეს.

აღსანიშნავია, რომ ის არა მხოლოდ მექანიკური დეტალებისგან შედგება, რომელსაც ჩვეულებრივ შპრიცში იყენებენ, არამედ, თავად ნემსსაც კი არ განუცდია არავითარი ცვლილება. ახალი მოწყობილობა ორგანიზმიდან ამოღებულ ქსოვილებსა და ცოცხალ ცხოველებზეც გამოსცადეს. აღმოჩნდა, რომ I2T2 ეფექტიანად უმკლავდება ინექციებს რთულ ადგილებშიც. აღსანიშნავია, რომ „ჭკვიანი“ შპრიცით არა მხოლოდ წამლის, არამედ, ღეროვანი უჯრედების შეყვანაცაა შესაძლებელი.

ართრიტს ვაქცინით შეებრძოლებიან

ცოტა ხნის წინ, მეცნიერებმა ართროზით დაავადებული ადამიანები დააიმედეს, რომ ვაქცინა შექმნეს, რომელიც მათ ამ დაავადების სიმპტომებისგან იხსნის. დიდ ბრიტანეთში, ოსტეოართროზით, დაახლოებით, 9 მილიონი ადამიანი იტანჯება, აშშ-ში – 30 მილიონი. დღემდე, ამ დაავადების საწინააღმდეგო წამალი არ არსებობს. რევმატოლოგები მას XXI საუკუნის დასაწყისის ეპიდემიად მიიჩნევენ. მკვლევარებმა, ოქსფორდის უნივერსიტეტიდან, შეიმუშავეს ვაქცინა, რომელიც ბლოკავს ტკივილის წყაროს – ნერვების ზრდის ფაქტორს (NGF). ჩატარებულმა კვლევებმა დამაიმედებელი შედეგები მოიტანა. ვაქცინა იმუნურ სისტემას ამუშავებს, ის იწყებს ანტისხეულების გამომუშავებას, რომლებიც უტევენ NGF-ს. პრეპარატი მღრღნელებზე გამოსცადეს და მან მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა ცხოველებს ტკივილი.

სიცოცხლის ხანგრძლივობას ტემპერატურა განსაზღვრავს

სწავლულებმა დაადგინეს, რომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე გავლენას არა მეტაბოლიზმი, არამედ, სხეულის ტემპერატურა ახდენს. ადამიანები, რომელთაც სწრაფი და რისკისშემცველი ცხოვრების წესი აქვთ, უფრო ხშირად ხვდებიან ავარიებში და გარდაცვალების რისკიც, რასაკვირველია, იზრდება. ბიოლოგიაში კი, იგივე პროცესი ასე მიმდინარეობს: ცხოველები, რომელთაც მეტაბოლიზმის მაღალი მაჩვენებელი აქვთ, უფრო ადრე კვდებიან, ვიდრე ნელი მეტაბოლიზმის მქონეები. მეტაბოლიზმის ეფექტის მიზეზად სხეულის ტემპერატურა ითვლება და ამის დასადასტურებლად, მკვლევარებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს მღრღნელებზე. აღმოჩნდა, რომ დაბალი მეტაბოლიზმი არ ახანგრძლივებდა მათ სიცოცხლეს, მაღალი ტემპერატურა კი ამცირებდა მას. გამოდის, რომ სხეულის ტემპერატურა უფრო მეტ გავლენას ახდენს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, ვიდრე მეტაბოლიზმის მაჩვენებლები.

კლიენტს სასამართლოში რობოტი დაიცავს



რობოტი-ადვოკატი, რომელიც სტარტაპმა DoNotPay-მ შექმნა, პირველად მიიღებს მონაწილეობას რეალურ სასამართლო სხდომაში. ხელოვნური ინტელექტი დაეხმარება მოპასუხეს, გაასაჩივროს საგზაო მოძრაობის დარღვევისთვის მიღებული ჯარიმა. ვირტუალური დამხმარე სმარტფონზე იმუშავებს და მოისმენს სასამართლოს არგუმენტებს. მას გააანალიზებს და რჩევებს მიაწვდის განსასჯელს. რობოტი-ადვოკატის ავტორები პირობას დებენ, რომ პროცესის წაგების შემთხვევაში, თავად დაფარავენ ნებისმიერ ჯარიმას. კომპანიის დირექტორის თქმით, მათ სურთ, „ჭკვიანი მანქანით“ მთლიანად ჩაანაცვლონ ზოგიერთი ადვოკატი, რათა კლიენტების თანხა დაზოგონ.

საცხოვრებლად აეროპორტში გადასახლდა

სინგაპურის საერთაშორისო აეროპორტში, ქალბატონმა, რომლის სახელიც არ ხმაურდება, რვა წელიწადი გაატარა. მოსაცდელი დარბაზის სხვა მეზობლებისგან განსხვავებით, რომლებიც იქ საცხოვრებლის თუ დოკუმენტებთან დაკავშირებული პრობლემების გამო მოხვდნენ, ამ სინგაპურელს ქალაქის ერთ-ერთ რაიონში სამოთახიანი ბინა აქვს. ფინანსური კრიზისის გამო, ის თითქმის უფულოდ დარჩა და გადაწყვიტა, რთული პერიოდი აეროპორტში გადაეტანა. შედეგად, ის იქ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში დარჩა, საკუთარი ბინა კი გააქირავა. მანდილოსანი მიეჩვია აეროპორტის სერვისებს – დარბაზებში ყოველთვის მუშაობს კონდიციონერი, არის „ფუდ-კორტი“ და სუპერმარკეტები. რაც მთავარია, შესაძლებელია, შხაპით და უფასო „ვაი-ფაით“ სარგებლობა. როგორც „ჩასახლებული“ ქალბატონი აცხადებს, ბინის გაყიდვა აქვს განზრახული და აეროპორტიდან წასვლას არსად აპირებს. მის გარდა, სინგაპურის აეროპორტში, მუდმივად კიდევ ათი ადამიანი ცხოვრობს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.